ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №12 (1784) 22 ოქტომბერი-5 ნოემბერი, 2002

## სარჩევი

• „მსოფლიოს ახალი სახელოსნო" მე-5 გვ.

• «ბოროტების სათავე ანუ როგორ შეთითხნეს მეგრელთა საქმე» მე-7-8 გვ.



• ამერიკელების მიერ ქართველი სამხედროების მომზადება ძლიერი ჯარის შესაქმნელად არ კმარა მე-3 გვ.

• სჭირდება თუ არა ბუშს გაერო? და, აქედან გამომდინარე, – პუტინიც?



ომი გარდუვალია, თუ ჯერ გაერომ არ დათმო, ხოლო შემდეგ ერაყმა მე-4 გვ.

• ვინ აალორძინებს ქართულ ჭიდაობას მე-6 გვ.

• ფრთხილად, ღალატი! მე-2 გვ.

• ხალხური მედიცინა

## დასავლეთი «კარზე ყურმიდებულ» ყოფილ ქართველებთან თანამშრომლობით უბრალოდ ეკონომიას აკეთებს...

„ვიცი ადამიანები, რომელთაც აკადემიის ინსტიტუტში მუშაობისას კომუნისტების დროს ყური სულ სხვის კარებზე ჰქონდათ მიდებული, რათა მარტივი „ინფორმატორის" ფუნქცია შეესრულებინათ, ვისთანაც „ჯერ-არს". დღეს ისინი იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დაწესებულებებს ხელმძღვანელობენ და ჩვენი ქვეყნის კვალობაზე მაღალ ხელფასებს იღებენ დოლარებში. რას ნიშნავს ეს? დასავლეთი ბრმაა? არა, ეს უბრალო ეკონომიაა. თუ ბოსტანში პამიდორი გინდათ, უფრო ადვილია, ჩითილი იყიდოთ, ვიდრე მცენარე თესლიდან გაალივოთ. ასევე, უფრო ადვილია ერთხელ უკვე დაგრეხილ-გადაგრეხილი, გაწურული და ნებაწართმეული კაცის ჩაყენება თქვენს სამსახურში, ვიდრე მისი, ასე ვთქვათ, თავიდან დამუშავება. მაგრამ ასეთი პრაქტიკა მხოლოდ შემდეგს მოწმობს..."

მე-3 გვ.




კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

**მკითხველთა საყურადღებოდ! გაზეთი გამოდის ორ კვირაში ერთხელ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას წერენ ჩვენზე

# ღ ი მ ი ლ ი და ღიმილი — შემდეგ შემთხვევამდე

ამ სათაურით და ქვესათაურით „THE ECONOMIST" (12 X 2002) — კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მსოფლიოს, ალბათ, საუკეთესო ჟურნალი როგორც ინფორმირებულობისა და ანალიზთა სიზუსტის, ისე ობიექტურობის მხრივ — აქვეყნებს მასალას, რომელიც პანკისთან დაკავშირებით მომხდარს, მიმდინარესა და ახლო მომავალში მოსალოდნელს ეხება. წერილს მკითხველს ვთავაზობთ ისე, როგორც არის, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ მას მცირე კომენტარი დავურთოთ — როგორც იმ ნუანსთა შესახებ, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, დიპლომატიური ტაქტითაა განპირობებული, ისე იმ გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი ფაქტებისა თუ შესაძლო მოსაზრებების შეხსენების სახით, რომლებიც მათს ინტერპრეტაციას ეხება.

„ყოველივე ეს ზოგის თვალში კავკასიური ომის პრელუდიას ჰგავდა. მაგრამ ამ კვირაში ყველაფერი ისევე იდუმალად დამთავრდა, როგორც დაიწყო. შევარდნაძე და პუტინი 6 ოქტომბრის შეხვედრაზე დაძაბულობად ქცეულნი მივიდნენ, იქიდან კი ღიმილად ქცეულნი გამოვიდნენ. შევარდნაძემ ამ შეხვედრას „შემობრუნების წერტილი" უწოდა. ამჯერად, შესაძლებელია!

ეს არ იყო პირველი გამწვავება. მის ქვეყანას — ერთ დროს სსრკ-ს ნაწილს და, სხვათა შორის, სტალინის დაბადების ადგილს — და მის ყოფილ ბატონებს შორის. ალბათ, არც უკანასკნელი იქნება. „ამჯერად გართულების წყარო იყო პანკისის ხეობა ალმ. საქართველოში, სადაც ზოგჯერ თავს აფარებენ მეამბოხენი რუსეთის ჩეჩნური რესპუბლიკიდან. მისტერ პუტინმა ისარგებლა 11 სექტემბრის ტერაქტის წლისთავით, რათა საქართველოზე დარტყმის მუქარა გამოეთქვა თავის დაცვის იმავე უფლების დამოწმებით, რომელიც ბუშმა დაიმოწმა ავღანეთზე დარტყმის წინ. ქართველებს ხშირად ბრალი დაუდვიათ რუსეთისათვის ამგვარი დარტყმების ფარულად განხორციელების გამო აქა თუ იქ, მაგრამ ღია მუქარამ ისინი შეძრა.

ამგვარად, მისტერ შევარდნაძემ ჯარი გაგზავნა ხეობაში — ხეობაში, რომელიც სრულებითაც არაა ის ველური, შეუღწევადი „არავისი მიწა", რომლადაც მას ხატავენ, არამედ მდინარის ფართო ველია თბილისიდან ორი საათის სავალზე — და მალე გამოაცხადა, რომ მასში არასასურველი პირები არ იმყოფებიან. მაგრამ მეზობელ ინგუშეთში 26 სექტემბერს ჩეჩენ მეამბოხეებთან შებრძოლების შემდეგ რუსეთის ძალებმა იპოვეს ბრიტანელი ტელეოპერატორის როდერიკ სკოტის გვამი და ნივთები. მისმა ფირებმა, რომლებიც რუსეთის ტელევიზიამ ეთერში გადასცა, გვიჩვენა მეამბოხეთა გადასვლა პანკისიდან რუსეთში. ჯგუფს მეთაურობდა რუსლან გელაევი, ჩეჩენი მეთაური, რომელმაც წინა სამი წლის დიდი ნაწილი პანკისში გაატარა. ამან მოსკოვი შეაიარაღა ყველა იმ არგუმენტაციით, რომელიც სჭირდებოდა. „სანამ შევარდნაძე საქართველოს ხელისუფლებაშია, ჩეჩნეთში სიტუაცია არ შეიცვლება" — გაცეცხლებულმა განაცხადა ნიკოლაევმა, ყოფილმა გენერალმა და ამჟამად დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ.

### „რატომ მაინცდამაინც ახლა?"

რატომ მოხდა ტონის ეს უეცარი გამწვავება? პანკისი კარგა ხანია, რაც პრობლემაა. 2000 წელს, ჩეჩნეთზე რუსეთის მეორე დარტყმის შემდეგ ლტოლვილებმა, ხოლო შემდეგ მეამბოხეებმა დაიწყეს მთების გადავლით პანკისში შეღწევა, სადაც ეთნიკური ჩეჩნები 1830-იანი წლებიდან დასახლდნენ. შემდეგ გაჩნდა კონტრაბანდა და ორგანიზებული დანაშაული, რომლის გაჩერება საქართველოს სუსტ არმიას და პოლიციას არ შეეძლოთ. შეუმოწმებელი ცნობები გვეუბნება, რომ პანკისში ალ-ყაიდას ტერორისტებმაც პოვეს თავშესაფარი. მაგრამ თბილისელი დიპლომატები თვლიან, რომ აქ არასოდეს ყოფილა ორიოდე ასეულზე მეტი მეამბოხე. ადგილობრივთა უმრავლესობამ ხეობა პუტინის მუქარამდე რამდენიმე ხნით ადრე დატოვა.

„ქართველები მოვლენებს საკუთარ ახსნას აძლევენ. ზოგნი მიუთითებენ ახალ ნავთობსადენზე, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო და რომელიც ბაქოს საქართველოს გავლით დააკავშირებს თურქეთთან, რითაც კონკურენციას გაუწევს ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენს (ეს ასეც იქნება, მაგრამ რუსეთის სანავთობე კომპანიები ამით მოიგებენ, რადგან ამით შემცირდება (თურქეთის. „საქ". რედ) ზეწოლა რუსეთის სატანკერო მიმოსვლაზე ბოსფორის გავლით). (თურქეთი რუსების ნავთობის გადაზიდვებს ზღუდავს იმ მოტივით, რომ ბოსფორი გადატვირთულია. „საქ". რედ.). სხვანი ფიქრობენ, რომ პუტინი გონიერი კაცია, მაგრამ მას საკუთარი „მაგარი ხაზის" მომხრენი (ჰარდ-ლაინერები) აცდენენ, როგორიცაა ნიკოლაევი, რომელსაც სსრკ ყოფილი საგარეო მინისტრი შევარდნაძე სძულს მისი როლის გამო სსრკ დაშლის პროცესში.

რაც არ უნდა იყოს რუსეთის ზეწოლის მიზეზი, რაც უფრო ძლიერდება ეს ზეწოლა, მით უფრო იყურება შევარდნაძე თავისი დასავლელი მეგობრებისაკენ მხარდაჭერის იმედით. „ჩვენ, ალბათ, ამდენ დახმარებას არ გავუწევთ საქართველოს, მას რომ ამდენი ძველი მეგობრები არ ჰყავდეს ვაშინგტონში" — ასეთია ერთი ამერიკელი დიპლომატის აზრი. ხომ არ იყო პუტინისეული მუქარა, რომელიც სწორედ მაშინ გაისმა, როცა ბუში ერაყს დაემუქრა, ძირითადად შემთხვევის გამოყენების მცდელობა, რათა ერთ ხაზზე დაეყენებინა მოსკოვი და ვაშინგტონი და შევარდნაძის ძველი მეგობრები მის წინააღმდეგ შეეტრიალებინა?

„ამგვარადვე, ამ კვირის უეცარი განტვირთვა, გარეგანი ლოგიკით, იყო შედეგი საქართველოს პირობისა, რომ რუსეთს გადასცემს 13 შეპყრობილ ჩეჩენ მეამბოხეს (მანამდე საქართველო რამდენიმე კვირის მანძილზე აცხადებდა, რომ ამას არ იზამს ექსტრადიციის ჯეროვანი პროცესის გარეშე). მაგრამ შესაძლოა ეს, უბრალოდ, იმას ნიშნავდეს, რომ რუსეთი მზადაა, თავისი აქცია გადადოს. გადადოს დღეისათვის.

„ქართველების უმრავლესობას მიაჩნია, რომ რუსეთს არასტაბილობის პროვოცირება ჰსურს, და არა ომისა. ადრე მან თავისი 220 ათასი პასპორტი შესთავაზა აფხაზეთის მოსახლეობას — თვითგამოცხადებული ავტონომიური რესპუბლიკისას საქართველოში, — რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს მოსკოვთან. ქართველების მეტი რისხვა გამოიწვია იმან, რომ აფხაზების ორმა მესამედმა ეს წინადადება, ეტყობა, სიხარულით მიიღო. მაგრამ პანკისის ამბავმა, შესაძლოა, გააძლიერა შევარდნაძე. მისი მმართველობის ათი წლის მანძილზე მისმა უუნარობამ, რომ საქართველოს ერთიანობა დაიცვას, ეკონომიკა წაწიოს და კორუფციას ებრძოლოს, მისი მოწონების რეიტინგი ერთნიშნა რიცხვებამდე ჩამოიყვანა. მაგრამ დღეს მის გარშემო მისი კრიტიკოსებიც არიან შემოკრებილნი. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან თავისი პრეზიდენტობის ვადა ჩაამთავროს. ეს სტაბილობის გარანტიაა" — ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძე.

„საქართველოს 900-იოდე კმ-ის საზღვარი აქვს რუსეთთან, რომელიც მისი ექსპორტის ერთ მეხუთედს ყიდულობს. და გასულ წლებში, თბილისური სარეიტინგო ფირმის, გორბი-ს მონაცემებით, ქართველები უფრო პრორუსულნი გახდნენ. შევარდნაძე რომ წავა, ხომ არ ისურვებენ ისინი ისეთ ვისმე, ვინც უფრო მეგობრულად იქნება განწყობილი რუსეთისადმი?

ეს ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წაუვა საქართველოს საქმე მომავალ დაპირისპირებებში. პანკისის ამბავმა მხარდაჭერის მხოლოდ ოდნავი ნიშნები გვიჩვენა დასავლეთის მხრიდან. შევარდნაძეს შესაძლოა ძველი მეგობრები ჰყავდეს, მაგრამ წონა პუტინს აქვს. და მაინც, ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის" 64 მილიონიანი ამერიკული პროგრამის დახმარებით, რომელიც წელს დაიწყო, საქართველოს შეიარაღებული ძალები შეიძლება ნაკლებ არადჩასაგდები (სუსტი) გახდნენ, ვიდრე ახლა არიან. ჩამოაგდებენ თუ არა ისინი რუსულ თვითმფრინავს თავის ტერიტორიაზე? თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბეჟუაშვილი იცინის: „მაშინათვე, როგორც კი ეს შეგვეძლება".

**რედაქციის კომენტარი.** როგორც ჩანს, დიპლომატიური ტაქტი ზღუდავს დასავლელ ანალიტიკოსებს, — მეტად მწვავე საკითხებში მაინც, — ამიტომ თავს ნებას მივცემთ ზემომოყვანილ მეტად საგულისხმო მსჯელობას რამდენიმე კითხვა და რამდენიმე (შესაძლოა, დასავლეთში ნაკლებ ცნობილი) გარემოება დავურთოთ. **პირველი.** (მოვყვებით წერილს თავიდან). რა აუცილებლობა იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტური პროფესიული ინტერესის გამო ან განსვენებული ბ-ნ სკოტის ფირზე ასახულიყო გელაევის რაზმის გზა „პანკისიდან ინგუშეთამდე" და ეს ვიდეომასალა ტარებულიყო მცირე რაზმის მიერ ასზე მეტკილომეტრიანი გადასვლის დროს, სადაც მისი ხელთგდება მოწინააღმდეგის მიერ — და, შესაბამისად, რუსეთის შეიარაღება უეფექტურესი საპროპაგანდო არგუმენტაციით, — ძალიან და ძალიან ალბათი იყო? ვართ დარწმუნებულნი, რომ ბატონი გელაევი, როგორც არაერთ ქართველ პოლიტიკოსს მიაჩნია, მასხადოვის პოლიტიკურ გუნდშია, ანუ იმ გუნდში, რომელიც ჩეჩნებისთვისაც და ქართველებისთვისაც მჭიდრო ურთიერთმოკავშირეობას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს და ამიტომ საქართველოსთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელებას, როგორც იტყვიან, მკერდით გადაეფარება? ხოლო თუ არ ვართ ამაში დარწმუნებულნი, მაშინ წინ რა უდგას დაშვებას, რომ შევარდნაძე, უკვე მრავალი წელია, ხელოვნურ „პრობლემას" ქმნის, ცარიელ ადგილზე, პანკისში, ჩეჩნებს საშუალებას აძლევს (და გელაევიც ამას პრაქტიკულად ასრულებს), რომ პანკისიდან კოდორისკენ გადაინაცვლონ თავისი რაზმით, და ამას ინტენსიური საპროპაგანდო აკომპანიმენტით სჩადის (ნუ დაგვავიწყდება: ისეთი აკომპანიმენტით, რომელიც „ჩეჩნების მიერ სოჭის აღების მცდელობის" აბსურდულ პროგნოზსაც კი შეიცავს). ასე რომ ე.წ. მეთოდოლოგიური ეჭვი — რუსეთისა და შევარდნაძის ერთობლივი სცენარი იმას ხომ არ გულისხმობდა, თავდაპირველად, რომ მომავალი და გარდუვალი ამერიკულ-ისლამური გართულებისას აშშ ავღანეთის ომში ჩაფლულიყო (რაც, საბედნიეროდ, არ მოხდა) და ამით მიღებულ წუთშესვენებაში რუსეთს — უკვე პროპაგანდისტულ საბაბმოპოვებულს — საქართველოსთვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება მოესწრო? **მეორე.** საქართველოში ძალიან სკეპტიკურად (მეტი რომ არ ვთქვათ) აღიქმება ინფორმაცია, რომ დასავლეთი საქართველოს ფასდაუდებელ პრაქტიკულსა და დიპლომატიურ დახმარებას უწევს იმის გამო, რომ საქართველოში „ერთნიშნარიცხვიანი" რეიტინგის მქონე შევარდნაძეს იქ ძველი მეგობრები ჰყავანენ. და **მესამეც.** არსებობს ძალიან სანდო ტესტი იმის გასარკვევად, დღევანდელ რუსულ ქართულ დაპირისპირებაში (რომლის უკანაც, ცხადია, რუსეთის ანტიდასავლური ჩანაფიქრი დგას), შევარდნაძე რუსეთის თამაშს თამაშობს თუ დასავლეთისას და, — რაც ამ შემთხვევაში იგივეა, — საქართველოსას. გაკეთდება თუ არა შევარდნაძის მიერ, — ათი წლის დაგვიანებით მაინც — ოფიციალური დაფიქსირება იმისა, რომ რუსეთმა 1992-1993 წლებში ომი აწარმოა საქართველოს წინააღმდეგ და დღესაც საქართველოს ნაწილის სამხედრო ოკუპაციას განაგრძობს?



**დაჩაგრული და დატუქსული თავისი ძლიერი მეზობლის და ყოფილი ბატონის მიერ, საქართველო მხარდაჭერისთვის იყურება დასავლეთისკენ**

## ფრთხილად, ღალატია!

შევარდნაძის უპატიო და უშედეგო მგზავრობა კიშინოვში, როგორც ჩანს, გაცხადებულის გარდა სხვა ანტისახელმწიფოებრივ გარიგებებსაც მოიცავს, რომლებიც ნელ-ნელა თავს იჩენს. „პრეზიდენტის" მიმართვა ა. აბაშიძისადმი, „თუ საქართველოდან აჭარის გამოყოფა გინდა, ბარემ გამოგვეყავი, ოღონდ ამის უფლებას არ მოგცემთო" ორმაგ პროვოკაციას შეიცავს. პირველი. თვით სიტყვები — „საქართველოდან აჭარის გამოყოფა" მკრეხელობაა (ვინ არიან და, ბოდიში ამ სიტყვაზე, რას წარმოადგენენ ან შევარდნაძე ან აბაშიძე, რომ საქართველო დაგლიჯონ და ჩვენი ქვეყნის მრავალ ათასწლოვანი სისხლიანი ისტორიის მთავარი მონაპოვარი — ჩვენი ქვეყნის ერთიანობა — წყალს გაატანონ?). მეორე. შევარდნაძის ბრიყვული სიტყვები ძალის ფაქტორს გულისხმობს და, ამგვარად, იმის მინიშნებაა, რომ, თითქოს, საქართველოს ცენტრისა და აჭარის ურთიერთობა ძალას ემყარება — ძალას, რომელიც, სხვათა შორის, შევარდნაძეს და საქართველოსაც მანამდე, სანამ მას უმორალო ცვედანი მართავს, არ ექნება და ვერ ექნება. ა. აბაშიძის პოლიტიკური გუნდის — „აღორძინების" საპარლამენტო ჯგუფის რეაგირება „პრეზიდენტის" ამ განცხადებაზე პროტესტის კომიკური სიმულაცია იყო და არა პროტესტი.

კითხვა დგას. შევარდნაძეს ვინ უბრძანა ეს მორიგი მოღალატური ნაბიჯი, გასაგებია (ეს არის პუტინი), მაგრამ ხომ არ არის საქმე იმგვარად, რომ მეორე მხარესაც, ა. აბაშიძესაც, ამ მიმართულებით ანალოგიური ანტისახელმწიფოებრივი ზეწოლა აქვს, რომელიც (ეს ყველაზე უარესი ვარაუდი გახლავთ), შესაძლოა, არა მხოლოდ რუსეთისგან, არამედ ზოგი სხვა ანტიქართული „ლობიებისგან" მოდის?

**ნოდარ ნათაძე**

ინტერვიუ

# დასავლეთი „კარზე ყურმიდებულ" ვაიქართველებთან თანამშრომლობით უბრალოდ ეკონომიას აკეთებს

## ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

**— გვეუბნებიან, რომ მსოფლიო უკვე ერთპოლუსიანია. ეთანხმებით?**

— ვინ გვეუბნება? ის, ვინც თვითონ ის ერთადერთი პოლუსია?

**— არა, სხვები, პოლიტოლოგებად რომ თვლიან თავს.**

— ვერ დავეთანხმები. ეს შეუძლებელია — ლოგიკურადაც და ფაქტობრივადაც. თუ ვინმე ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთადერთ „პოლუსად", ეს იმას ნიშნავს, რომ იმ წამსვე თვით მსოფლიო ხდება მეორე „პოლუსი". ანუ ის „მსოფლიო" იმ მეორეს, იმ „პოლუსს" უყურებს რევანშის ასალებად. გარდა ამისა, რატომ ფიქრობენ, რომ მეორე „პოლუსი" ფაქტობრივად არ არსებობს? ან აღარ არსებობს? ან ჯერ არ არსებობს ახალი სახით? იგი არსებობს და მას ადამიანური რესურსები, სულ ცოტა, ორჯერ მეტი ჰყავს. ვიდრე პირველ პოლუსს. გონებრივი რესურსებიც ბევრი ჰყავს, პოტენციაში — კიდევ მეტი (თუმცა გონებრივი რესურსებისათვის მათი მოცულობა ერთადერთი საზომი არ არის). ეს მეორე „პოლუსი" რომ არ იყოს, პირველის ადამიანები თავის ერთიანობას ვერც იგრძნობდნენ. სულ სხვაგვარად იქნება საქმე, თუ კაცობრიობა უცხოპლანეტელებთან შეხებაში მოვიდა. მაშინ ადამიანები მართლაც ერთი „პოლუსი" გავხდებით, ისინი — მეორე.

**— ცხადია, იმ ერთ „პოლუსში" ზეგანვითარებულ დასავლეთს ვგულისხმობთ. როგორ გესახებათ ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა მასთან?**

— მაპატიეთ, თუ ჩემ პასუხს პატარა ფილოსოფიურ შესავალს წავუმძღვარებ. ერთობა სხვადასხვანაირი არსებობს. ერთია ე. წ. რაგვარობითი ერთობა, ანუ მსგავსებით ერთნაირობა. საქართველო და ცივილიზებული დასავლეთი ძირითად, არსებით პარამეტრებში ერთნაირნი ვართ. გვაქვს, არსებითად, ერთი და იგივე აზრთა წყობა, ერთი და იგივე მორალური ღირებულებები, ერთი და იგივე შეხედულებები კარგსა და ავზე. დემოკრატიის გამოცდილება ამ სიტყვის დღევანდელი აზრით — მაგრამ მხოლოდ დღევანდელით, — მართალია, არ გვაქვს. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფეოდალური ისტორიის ქვეყანა ვართ, ფეოდალიზმი კი შუა საუკუნეების დემოკრატიაა. ამით ჩვენ ძირფესვიანად განვსხვავდებით ჩვენი ყველა უახლოესი დიდი მეზობლისაგან, რუსეთის ჩათვლით, რომლებიც ტიპური აღმოსავლური დესპოტიები არიან ისტორიულად, და არა ფეოდალური საზოგადოებები. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ქართული მთის წყობა — სვანეთში იქნება ეს, ხევსურეთში თუ ფშავსა და თუშეთში, აგრეთვე სხვაგანაც, — ე. წ. სამხედრო დემოკრატია იყო, ჩვენ რომ თემური წყობის სახელით ვიცნობთ. ესეც რომ დემოკრატიის, ამ სიტყვის დღევანდელი აზრით, ერთ-ერთი კერძო სახეა. ფილოლოგი ბრძანდებით და ერთ მკაფიო ილუსტრაციას მოგიყვანთ. ნიკოლოზ ბარათაშვილს ევროპასთან კონტაქტი არ ჰქონია. მან ოდნავ, სულ ოდნავ იგრძნო ატმოსფეროში იმ დროს ერთი ყველაზე სიღრმისეული ევროპული სულიერი მოძრაობის — რომანტიზმის — ქროლა და ამან იკმარა მისთვის, რათა ჩამოყალიბებული, წმინდა წყლის რომანტიკოსი დამდგარიყო — ერთ-ერთი ყველაზე დიდ რომანტიკოს პოეტთაგანი, ვისაც კაცობრიობა იცნობს. ეს იმიტომ, რომ საქართველო ტიპოლოგიურად დასავლური ქვეყანაა: არც სპარსეთში, რომელიც პოეზიის კლასიკური ქვეყანაა, არც ჩინეთში, არც სხვაგან სადმე აღმოსავლეთში ეს არ მომხდარა.

**— რუსეთში? რუსეთიც ხომ, თქვენი სიტყვით, ტიპური აღმოსავლური დესპოტია იყო და ასეთად დარჩა სოციალიზმის დემონტაჟამდე მაინც?**

— რუსეთის რომანტიზმი ბაირონიზმია და არა რომანტიზმი ამ სიტყვის ფართო აზრით. გარდა მაგისა, რუსეთის პირწმინდად ევროპეიზირებული ზედაფენისთვის რომანტიზმი მთლიანად იმპორტირებული მოვლენა იყო. ახლა მოგახსენებთ ერთობის მეორე სახებაზე. ეს გახლავთ ე. წ. რომელობითი ერთიანობა, ანუ იგივეობა. ჩვენ და დასავლეთი იგივენი ვართ იმ აზრით (იგივენი ვართ ჩვენს თვალში, თორემ დასავლეთის კარგა დიდმა ნაწილმა ჩვენი არსებობა დღესაც არ იცის), რომ ერთი კულტურა ვართ, ამ სიტყვის ფართო აზრით, რომელსაც ადამიანობა ქრისტემ გვასწავლა და რომელთაც არ წარმოგვიდგენია, რომ შეგვიძლია — ან რომელიმე ჩვენგანს შეუძლია — ამ ჩვენი სამყაროდან ამოხტეს და სხვა კულტურული სამყაროს — თუნდაც ჩინურის, ან იაპონურის, ან ინდურის — ელემენტი, მისი წევრი გახდეს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ აი ამ რასას, რომელსაც ვეკუთვნით ჩვენც და ისინიც, „კავკასიური რასა" ჰქვია. მართალია, მეტ-ნაკლებად შემთხვევით ჰქვია, მაგრამ მაინც ჰქვია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, სოციოლოგიური და მისი მეზობელი დარგების მკვლევარები მოსახლეობას სამ ასეთ კატეგორიად ყოფენ: აზიელები (იაპონელი, ჩინელი...), აფრიკელები და კავკასიელები.

ერთობის კიდევ ერთი სახეა მოკავშირეობითი ერთობა. ჩვენ დასავლეთთან ერთობის ეს სამივე სახე გვაქვს. ერთ ილუსტრაციას კიდევ მოგიყვანთ. დასავლეთის მიზანია, შუა აზიასთან მჭიდრო ორგანული ურთიერთობის დამყარება. მოკლედ რომ ვთქვათ: იქ შესვლა. დღეს იგი რუსეთისგან გვიცავს, ჩვენ მას გზის გახსნაში ვეხმარებით და მომავალში ამ გზის დაცვას ვიმედოვნებთ. თითქოს ბარიბარშია, არა? მაგრამ ჩვენ აქ კიდევ სხვა დამატებითი ინტერესი გვაქვს. აბა, წარმოიდგინეთ, რომ შუა აზიაში უფრო ადრე სხვებმა შეაღწიეს. ვთქვათ, გადაიქელა, ფაქტობრივად, საზღვრები და შუა აზიას 300 მილიონი უცხო მაცხოვრებელი შეემატა, ან 500 მილიონი. მაშინ იქ ისეთი „წნევა" განვითარდება, პირველ ყოვლისა — დემოგრაფიული, რომელიც ჯერ შუა აზიის აღმოსავლეთ ნაწილს გადალეკავს ღვარცოფივით, შემდეგ — დასავლეთ ნაწილს, შემდეგ — ირანაზერბაიჯანს და შემდეგ ჩვენ. სომხეთსაც მიაყოლებს, რა თქმა უნდა, მაგრამ სომხებს ერთგვარი იმუნიტეტიცა აქვთ, დიასპორად ცხოვრების პირობებშიც მათ კარგა ხნით გაძლება შეუძლიათ. აქედან ჩანს, რომ ჩვენგან აღმოსავლეთით დასავლეთის დიდი კულტურული და სტრატეგიული დემოკრატიული კორდონის ჩადგომა ჩვენი ინტერესიც არის, და არა მხოლოდ დასავლეთისთვის სამაგიერო დახმარების მიზლვა ჩვენი დახმარების საზღაურად.

**— ორ კითხვასაც მოგცემთ. პირველი: მრავალნი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ დასავლელები საქართველოში მიწასთან ასწორებენ დამოუკიდებელ ეკონომიკას, ფუნდამენტურ განათლებას, მეცნიერებას. ამაზე რას ფიქრობთ? მეორე: დასავლეთი საქართველოს პოლიტიკაში, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად უხარისხო ადამიანებს ეხმარება წამოტივტივებაში. ამაზე რა აზრის ხართ?**

— ეს ფორმულირებები გაზვიადებულად მეჩვენება. კითხვა კი, ჩემის აზრით, ერთი და იგივეა. დავიწყებ მეორე ფორმულირებით.

ვიცი ადამიანები, რომელთაც აკადემიის ინსტიტუტში მუშაობისას კომუნისტების დროს ყური სულ სხვის კარებზე ჰქონდათ მიდებული, რათა მარტივი „ინფორმატორის" ფუნქცია შეესრულებინათ, ვისთანაც „ჯერ-არს". დღეს ისინი იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დაწესებულებებს ხელმძღვანელობენ და ჩვენი ქვეყნის კვალობაზე მაღალ ხელფასებს იღებენ დოლარებში. რას ნიშნავს ეს? დასავლეთი ბრმაა? არა, ეს უბრალო ეკონომიაა. თუ ბოსტანში პამიდორი გინდათ, უფრო ადვილია, ჩითილი იყიდოთ, ვიდრე მცენარე თესლიდან გაალივოთ. ასევე, უფრო ადვილია ერთხელ უკვე დაგრეხილ-გადაგრეხილი, გაწურული და ნებაწართმეული კაცის ჩაყენება თქვენს სამსახურში, ვიდრე მისი, ასე ვთქვათ, თავიდან დამუშავება. მაგრამ ასეთი პრაქტიკა მხოლოდ შემდეგს მოწმობს: იმ ადამიანთათვის ნდობის გამცხადების ამოცანა არ დგას. მათი ფუნქცია ხომ მხოლოდ ქართველების დაბეზღებაა, როგორც „არადემოკრატებისა" (ვინ იცის, როდის გახდება საჭირო იმის თქმა, რომ ამ ქვეყანას თავის მართვა არ შეუძლია და იგი გარედან უნდა მართონ), ამ ფუნქციას კი ნდობის გამოცხადება არ სჭირდება! მაშინ, როდესაც დასავლეთის დღის წესრიგში დადგება საქართველოში მოკავშირის, თანამებრძოლის მობილიზაცია, ეს პრაქტიკაც, რა თქმა უნდა, შეიცვლება. ეს შეცვლა მოხდება მაშინ — და მხოლოდ მაშინ, — როცა დასავლეთს საქართველოში მოკავშირეები დასჭირდება და არა იმ „კარზე ყურმიდებული" და მათი მსგავსი ტიპის ხალხი. ამ მხრივ პროგნოზი ოპტიმისტური გვაქვს. და ამით თქვენ მიერ დასმული კითხვის პირველ ნაწილსაც მივადექით. პასუხს ასე ვხედავ: ის ახალგაზრდები, რომლებიც ეკრანზე ძალიან ხშირად ჩანან, ძირითადად, ან იმ წარსულში „ყურმიდებულთა" ან დღევანდელ ზემოხსენებულ „დამბეზღებელთა" კატეგორიას ეკუთვნიან. მათ შორის ნიჭიერი ადამიანი, — იმ საზომებით, რომელიც მე დღემდე შემიმუშავებია ჩვენი ხალხის ყველა შრის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, სტუდენტის დონიდან დაწყებული და პროფესორის ან მინისტრის დონემდე — მე არ მინახავს. ესენი, ძირითადად, ულიმღამო და, ამდენად, საკმაოდ ულამაზო სამსახურისათვის გამზადებულ კონტინგენტს წარმოადგენენ. მაგრამ სხვა ტიპისა და ყაიდის ახალგაზრდები უსათუოდ გამოჩნდებიან. გამოჩნდებიან კიდეც და სათავეშიც მოექცევიან, როგორც კი საქართველოს იმისთვის ჭიდაო-

გაგრძელება მე-7 გვ.



თანამედროვე ქვეითი ჯარები

# ამერიკელების მიერ ქართველი სამხედროების მომზადება ძლიერი ჯარის შესაქმნელად არ კმარა

თანამედროვე სახმელეთო ჯარების საფუძველს შეადგენენ ჯავშანსატანკო (სატანკო) და მექანიზებული ქვეითი (მოტოქვეითი, მოტომსროლელი) ჯარები, მაგრამ მათი ყველაზე უფრო ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია გაშლილ დაბლობ ადგილას ან დაბალი დასერილობის (მთაგორიანობის) პირობებში. ასეთად წარმოგვიდგება საქართველოსა და ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი, საკუთრივ კავკასიონის ქედის კალთებზე მდებარე მხარეების გამოკლებით. ასეთივეა ჩვენი მეზობელი თურქეთის ტერიტორიაც, სადაც თურქულ სარდლობას განლაგებული ჰყავს უპირატესად ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთები და ნაწილები. ცივი ომის პერიოდში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში საბჭოთა სარდლობას ასევე განლაგებული ჰყავდა უპირატესად მოტომსროლელი დივიზიები, რომელთა ერთი ნაწილის პირადი შემადგენლობა გადიოდა სამთო მომზადებასაც.

მაგრამ ჯავშანსატანკო ტექნიკის, თვითმავალი არტილერიისა და სხვა მოჯავშნული მანქანების შეძენა, შენახვა და ექსპლუატაცია, აგრეთვე მათთვის საწვავ-საცხები მასალების მარაგების შექმნა მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ თუ კი ქვეყანას შესაბამისი ეკონომიკური პირობები არ გააჩნია, მაშინ იგი სახმელეთო ჯარების მშენებლობას უნდა ახორციელებდეს უპირატესად ქვეითი ჯარების მშენებლობის საფუძველზე მინიმალურად აუცილებელი ჯავშანსატანკო ბირთვის შექმნის პირობებში. ამის მაგალითს წარმოადგენს ფინეთი, რომლის არმია ცივი ომის მიწურულს შედგებოდა ორი ჯავშანსატანკო ბრიგადის, ერთი „ეგერთა" და 24 ქვეითი ბრიგადისგან, აგრეთვე სანაპირო არტილერიის, საჰაერო თავდაცვის ნაწილებისგან, სხვადასხვა დანიშნულების 50 ცალკეული ბატალიონის (დივიზიონისგან) და ტერიტორიული თავდაცვის ჯარების დაახლოებით 200 ცალკეული ნაწილის (ქვედანაყოფისგან). ასეთ პირობებშიც, საზღვაო ძალების, კატარღებისა და საჰაერო ძალების 100-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავის გათვალისწინებით, 1990 წელს ფინეთის თავდაცვის ხარჯები შეადგენდა, დაახლოებით, 2 მლრდ. ამერიკულ დოლარს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რაოდენ შეუსაბამო და გულისამრევად სასაცილო უნდა იყოს საქართველოს ე.წ. თავდაცვის საჭიროებისთვის რამდენიმე მილიონი ლარის დამატებით ვითომდა ძლიერი ჯარის ჩამოყალიბების შესახებ ლაპარაკი. აგრეთვე იმაზე დაიმედება, რომ 64 მლნ. დოლარის დახარჯვით ამერიკული სამხედრო მრჩევლები ვითომდა საქართველოს ძლიერ ჯარს შეუქმნიან და ქვეყნის თავდაცვის პრობლემას გადაუწყვეტენ. მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა და მას შემდგომში მივუბრუნდებით. ამჟამად კი თანამედროვე ქვეითი ჯარების შესახებ გავაგრძელოთ საუბარი.

ქვეითი ჯარების გამოყენებას თანამედროვე სარდლობები ვარაუდობენ მაღალი მთაგორიანობის (დასერილობის) ადგილებში, ჯუნგლებში, აგრეთვე მსხვილ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში, სადაც ჯავშანსატანკო ტექნიკის მოქმედებები ნაკლებეფექტურია ან დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ცივი ომის მიწურულს აშშ არმიაში შედიოდა 28 დივიზია. მათგან ექვსი ჯავშანსატანკო, რვა მექანიზებული, ექვსი ქვეითი, ხუთი მსუბუქი ქვეითი, თითო-თითო საჰაეროსადესანტო, საჰაერო-საიერიშო და მოტორიზებული. თანაც ჯავშანსატანკო, მექანიზებული და მსუბუქი ქვეითი დივიზიების უმეტესობა შედიოდა რეგულარულ ჯარებში, ხოლო ქვეითი დივიზიების უმეტესობა არმიის ეროვნულ გვარდიაში, რომელიც ფაქტობრივად სახმელეთო ჯარების ორგანიზებულ რეზერვს წარმოადგენს და რეგულარულ ჯარებთან შედარებით ნაკლები საბრძოლო მზადყოფნითა და ბრძოლისუნარიანობით ხასიათდება.




70-იანი წლების აშშ ქვეითი ბატალიონი

ესეც კიდევ ერთი მაგალითი უნდა იყოს საქართველოს სამხედრო მშენებლობით დაკავებული სტრუქტურებისთვის, რომლებიც აშენებენ უპირატესად ქვეით ჯარებს, მაგრამ მათი დაკომპლექტება რატომღაც კონტრაქტის საფუძველზე მომსახურე პროფესიონალი პირადი შემადგენლობით სურთ. ამ „პროფესიონალთა" მაღალი ანაზღაურება განსაზღვრავს მათ მცირე რიცხოვნებასაც, მაგრამ რატომღაც თვლიან, რომ პირადი შემადგენლობის პროფესიონალიზმი გააბათილებს ჯარების მცირე რიცხოვნებით გამოწვეულ ნაკლს და უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვას. და ამას რატომღაც ნატოს სტანდარტად მიიჩნევენ.

ამის საპირისპიროდ თურქეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში, ავტორიტეტული დასავლური მონაცემებით, ნაჩვენები იყო 609700 პირადი შემადგენლობა, მათგან 528000 ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვეული (სამსახურის ვადა 18 თვე) და სულ 82000-მდე კადრის ოფიცერი (გენერალი) და კონტრაქტით მომსახურე სპეციალისტი. ე.წ. „ნატოს სტანდარტებს" ალბათ თურქეთის გენერალური შტაბი უფრო კარგად იცნობს, თანამედროვე დასავლური (და საერთოდ მსოფლიო) სამხედრო მშენებლობის საკითხებშიც კარგად იქნება გარკვეული და იგი რატომღაც არა თვლის, ფინური სარდლობის მსგავსად, რომ მცირერიცხოვან პროფესიონალებს შეუძლიათ ქვეყნის თავდაცვის ამოცანების შესრულება.

თანამედროვე სახმელეთო ჯარების ძირითადი ტაქტიკური ქვედანაყოფია ბატალიონი. იგი შედის ბრიგადის და დივიზიის შემადგენლობაში. 70-იანი წლების აშშ ქვეითი ბატალიონის საორგანიზაციო სტრუქტურა ნაჩვენებია ნახაზზე. იგი ძირითადად ამ პერიოდის მოტოქვეითი ბატალიონის სტრუქტურის ანალოგიურია, მაგრამ ქვეითი ქვედან-

გაგრძელება მე-6 გვ.




## ქურთები, თურქები, ერაყი

(იმ დროს, როცა ქურთები გეგმავენ ნახევრად-დამოუკიდებლობას პოსტისლამურ ერაყში, ზოგი თურქი ნოსტალგიით გაჰყურებს თურქულ ძველ ბატონობას ამ ტერიტორიაზე) (THE ECONOMIST-იდან 5.X).

ერაყის ოპერაციის ამერიკულ გეგმებს მისი ორი ერთგული მეგობარი და ერთმანეთის მოსისხლე მტერი სიფრთხილით შეჰყურებს — თურქები და ერაყელი ქურთები (დაახლოებით 3,5 მილიონი კაცი). თურქეთი აცხადებს, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ოპერაციაში, თუ შესაძლებელი იქნება, რომ მას ერაყის ქურთების დამოუკიდებლობა ან თუნდაც ავტონომია მოჰყვეს. ქურთებმა თუ ეს მოინდომეს, თურქეთი, მისივე განცხადებით, სამხედრო ინტერვენციას მოახდენს. (დღეს ქურთებს, რეალურად, ავტონომიაზე მეტის იმედი არა აქვთ). ეს გამოიწვევს ანალოგიურ სიტუაციას ირანის ქურთისტანში (6 მლნ ქურთი) და თურქეთის ქურთულ ზონაში (12 მლნ ქურთი). შედეგი, თურქი დიპლომატის სიტყვით, იქნება „ჯოჯოხეთური რეგიონული ქაოსი და არასტაბილობა, რომელსაც ველარ აღმოფხვრით". (სხვა არგუმენტი ამ პოზიციისთვის, როგორც ჩანს, ვერ მოიძებნა, „საქართველოს" რედ.).

ამერიკელები საგონებელში არიან, რადგან თავისი ოპერაციისათვის მათ ორივე სჭირდებათ: თურქები მათი ავიაბაზების გამო, ქურთები — მათი 50000 გაწვრთნილი მებრძოლის გამო, რომლებიც ჰუსეინის გადაგდებაში უნდა დაეხმარონ.

ქურთები წინააღმდეგნი არიან თურქეთის ძალების მონაწილეობისა ერაყის ოპერაციაში. ეს, სხვათა შორის, ირანის ინტერვენციასაც გამოიწვევსო. თუ ამერიკელებმა მათ ინტერესებს ანგარიში არ გაუწიეს, ისინი იმასაც კი იმუქრებიან, რომ ჰუსეინს მხარს დაუჭერენ მომავალ ომში.

თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ამას წინათ განაცხადა, რომ კირკუკი — ერაყის სანავთობე ცენტრი, რომელიც ქურთულ ზონაშია და რომელიც მათ მომავალ დედაქალაქად უნდათ, — ისტორიულად თურქეთის ნაწილია.

ქურთების ორი ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფი ერაყში — ბარზანისა და თალაბანისა — ურთიერთგაერთიანების გზაზე დგას, რაც ძალიან აშფოთებს მათს სამსავე რეგიონულ მტერს — თურქეთს, ერაყს და ირანს, რომლებიც ტრადიციულად მიმართავდნენ მათი ურთიერთწაკიდების ტაქტიკას. ქურთებს ჰყავთ „რეგიონული პარლამენტი" (იგი აღიარებული არაა), მათ აქვთ თავისი კონსტიტუციის პროექტი, ისინი ფაქტობრივად აკონტროლებენ ვრცელ ტერიტორიებს თავისი დასახლების ზონაში. მას შემდეგ, რაც თურქებს ხელთ ჩაუვარდათ თურქეთის ქურთთა პროკომუნისტური პოლიტიკური ლიდერი და მეამბოხე ოჯალანი და მას ხელი აალებინეს ბრძოლაზე, თურქებს ცოტა შეუმსუბუქდათ ამოცანები ერაყის ქურთების მიმართ. თურქეთის მთავრობამ შექმნა, შეაიარაღა და გაწვრთნა თურქმენული მილიცია (სახალხო ლაშქარი) იმ თურქულმოდგმოვანი უმცირესობისაგან, რომელიც ცხოვრობს ქურთული კომპაქტური დასახლების შიგნით მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე.

თურქები ქურთებს ეუბნებიან, ცდებით, თუ ამერიკელების თანადგომის იმედი გაქვთ, მათ ჩვენ თქვენზე მეტად ვჭირდებითო. ქურთების მეხსიერებაში მწარედაა დარჩენილი ამბავი, როცა მათ, ამერიკელთა იმედით, ჰუსეინს აჯანყება მოუწყეს, მაგრამ ამერიკელები ვერ დაეხმარნენ და ჰუსეინის ჯარს გასანადგურებლად შეატოვეს. ამიტომ ამჯერად მათ უნდათ ამერიკელთა მყარი გარანტიები არა მხოლოდ ერაყელების, არამედ ყველა შესაძლო ინტერვენციის საწინააღმდეგოდაც.

ობიექტური ინფორმაცია

# ომი გარდუვალია, თუ ჯერ გაერომ არ დათმო, ხოლო შემდეგ ერაყმა

მსოფლიოს ერთადერთ დარჩენილ სუპერძალას (ჩინეთმა ჯერ ამ რანგს ვერ მიაღწია) — შეერთებულ შტატებს — ერაყის ოპერაციის ჩასატარებლად არც გაეროს მხარდაჭერა, არც გაეროს თანხმობა არ სჭირდება. ეს უკვე გარკვეულია და ჩვენმა გაზეთმაც უკვე არაერთხელ აღნიშნა ეს დასავლეთის ავტორიტეტული პრესის დამოწმებით. საამისოდ აშშ-ს ძალას გადამწყვეტი უპირატესობაც აქვს და, როგორც იტყვიან, აბსოლუტური საბუთიც: დიქტატორი ჰუსეინი ბაქტერიოლოგიურ, ქიმიურ და (პოტენციაში) ბირთვულ იარაღს ფლობს, რომელიც — თუ მისი აქამდელი ქცევითა და საკმაოდ მკაფიო ფსიქოლოგიური პორტრეტით ვიმსჯელებთ — მან ყოველ წამს შეიძლება გამოიყენოს ათეულობით მილიონების და, პირველ რიგში, ამერიკელების დასახოცად. მაგრამ საკითხს ზოგი სხვა მხარეც აქვს, მათ შორის ორი მთავარი: მსოფლიოს აზრი და თვით ამერიკელთა აზრი. აქ ომის გზის არჩევას ერთი ძალიან ძლიერი ალტერნატიული ვარიანტი აქვს: ეს არის გაეროსგან, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ახალი რეზოლუციის (ან რამდენიმე რეზოლუციის) მიღება, სადაც აღბეჭდილი იქნება, რომ, უკეთეს შემთხვევაში, სადამის რადიკალური უკანდახევის გარეშე მას ძალით მოთოკავენ, ან, უარეს შემთხვევაში, ერაყში კვლავ შესულ გაეროს ინსპექტორებს, რომელთაც ხსენებულ შეიარაღებათა მოძებნა და განადგურება დაევალებათ, ზურგს გაუმაგრებენ შეიარაღებული ძალები, რომელნიც, საჭიროების შემთხვევაში, „კარებს

## სჭირდება თუ არა ბუშს გაერო? და, აქედან გამომდინარე, — პუტინიც?

შეამტვრევენ" იქ, სადაც ინსპექტორებს დაბრკოლება შეექმნებათ. ეს უნდა გაკეთდეს მანამდე, სანამ ომი გადაწყდებოდეს, ხოლო თუ ეს ვერ გაკეთდა, ან გაკეთდა, მაგრამ ჰუსეინმა კვლავ წინააღმდეგობა გაწია, მაშინ — და მხოლოდ მაშინ — უნდა დადგეს ომისა და მშვიდობიანი მოგვარების არჩევანის საკითხი ისე მკვეთრად, როგორითაც ახლა დგას. ამ „შუალედური" ვარიანტის მომხრენი ამერიკაში 22-23 სექტემბერს 57 იყვნენ. 3-5 ოქტომბერს მათ 63 შეადგინეს.

სჭირდება თუ არა ბუშს რამეში პუტინი, რათა ეს მძიმე პრობლემა დაძლიოს? ჰოც და არაც. „ჰო" იმიტომ, რომ ამერიკელ მოქალაქეს, აგრეთვე მსოფლიოს სხვა მოქალაქეთა უმრავლესობას ურჩევნია, ომი (და ომები) დედამიწაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდეს (თუკი გარდუვალია ომების არსებობა საერთოდ), როცა ამას საერთაშორისო საზოგადოებრიობის გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად ამა თუ იმ ფორმით. ამ ვითარებაში გაეროს უშიშროების საბჭოში დადებული ვეტო (რუსეთს ასეთი უფლება აქვს) ან, კიდევ უარესი, გაეროს უარი (რასაც რუსეთი, ცხადია, ვერ მიაღწევს, რაც უნდ აქტიურად ეცადოს ამას, თავისი წონის მკვეთრი შემცირების გამო), ძალიან შეამცირებს ომისადმი რიგითი ადამიანების დადებითი ან თუნდაც შემწყნარებლური დამოკიდებულების ხარისხს. „არა" კი იმიტომ, რომ მოქალაქეთა ზემოხსენებული პროცენტის ყოყმანს არა პრაქტიკული (შიშის), არამედ, ძირითადად, მორალური, სამართლებრივი და კაცობრიობის მომავალ პერსპექტივაზე გათვლილი მოტივები აქვს (მათზე აქვე ქვემოთ ვისაუბრებთ). ამ მხრივ კი რუსეთის პრესტიჟი დღეს (განსაკუთრებით — ჩეჩნეთში განზრახული, მაგრამ ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ვერ ჩატარებული გენოციდის გამო) კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე (ძველთან შედარებით) სამხედრო ძალის მხრივ. ასე რომ პუტინისგან გაწეული წინააღმდეგობა ბუშის ხაზს, სავარაუდოა, მომხრეებს მეტს შესძენს და ემოციურ მუხტს უფრო გაუძლიერებს, ვიდრე პირიქით.

გარდა ამისა: პუტინის მეტისმეტი აქტიურობა მრავალს შეახსენებს ცბიერ კითხვას: ვინ მისცა ბაქტერიოლოგიური, ქიმიური და (პოტენციურად) ბირთვული იარაღი პუტინს, რომელიც მათ საწარმოებლად ტექნოლოგიურად მზად არ არის?

## როგორ მსჯელობს მოქალაქე მოსალოდნელ ომზე?

ჟ.-ს „THE ECONOMIST", რომელიც, როგორც უკვე მრავალჯერ აღგვინიშნავს, ყოველთვის ობიექტურია და საპირისპირო აზრის გამთვალისწინებელია, მოჰყავს ის საბუთები და კონტრსაბუთები, რომლებსაც ერაყზე დარტყმის მომხრენი და მოწინააღმდეგენი იყენებენ.

პირველი. თუ ბუშს გადაწყვეტილი აქვს ერაყის გაუვნებლება და თუ, ამავე დროს, მას კარგა ხნის მიღებული აქვს უკვე „დამსწრები დარტყმის" სათავდაცვო დოქტრინა, რაღად უნდა თავისი ამ მსხვერპლიანი და არაერთი უბედურების მომტანი, თუმცა აუცილებელი ნაბიჯისთვის, გაეროს მხარდაჭერა? ეს ხომ, ცოტა არ იყოს, პირმოთნეობას (ფარისევლობას) ჰგავს! გარდა ამისა, თუ სადამს ბრალად სდებთ გაეროს წინა რეზოლუციების დარღვევას, რატომ არ უხსენებთ ამავე ცოდვას იზრაელს? ეს ხომ ორმაგი სტანდარტების, ანუ არასამართლიანი პრინციპია!

ჟურნალის პასუხია: ბუში არ ამბობს, ერაყს გაეროს გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლისთვის უნდა დავარტყათო. იგი ამბობს, მსოფლიოს და ამერიკის დასაცავად უნდა დავარტყათო. გარდა ამისა, გაერომ რომ ამდენხანს პასიურად ითმინა „გაცურება" ჰუსეინის მიერ — „იარაღი აღარ მაქვსო" — სწორედ ამით შეიქმნა ის ხიფათი, რომელიც დღეს გვაქვს. თუ გაეროს ეცოდინება, რომ რეალურია უარის შემთხვევაში ერთმხრივი დარტყმა ამერიკის მიერ, მაშინ მას მეტი სტიმული ექნება, საჭირო რეზოლუცია მიიღოს, ანუ მასში ამერიკელთა ან სხვათა მიერ იარაღის გამოყენების შესაძლებლობა შეიტანოს. ბუშის დღევანდელი პოზიცია სწორედ ეს არის. იგი ამბობს, ომი გარდუვალი არ არისო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაეროს მექანიზმმა ვერ იმუშავა.

მეორე. განა შეიძლება დღეს ომი სხვაგვარად დაიწყოთ თუ არა ან გაეროს დასტურით ან „პირდაპირი საშიშროების" გამო?

ჟურნალის პასუხია: ის, რომ ერაყელი დიქტატორი მასობრივი მკვლელობის იარაღებს აგროვებს და თან მათი მიტანის საშუალებებსაც იმარაგებს (რაკეტებს), სწორედ უშუალო საფრთხეა. ის, რომ ამ საფრთხეს ჯერ ღია სახე არ მიუღია, საქმეს არ ცვლის. რაც შეეხება პალესტინის საკითხებს, მათ შესახებ გაეროს რეზოლუცია კატეგორიული არ არის. იგი ამბობს, რომ ყოველივე უნდა მოგვარდეს უომრად, მაგრამ არ ამბობს, რა ვადაში, რა პირობებით და ა.შ. ამიტომ იმ ფაქტით, რომ იზრაელი უკვე 35 წელია განაგრძობს 1967 წელს მოპოვებულ ტერიტორიებზე დგომას, ხოლო ხანდახან საბრძოლო მოქმედებებს აქვს ადგილი, ფორმალურად (ანუ იურიდიული მიმართებების მხრივ) იზრაელ-პალესტინის საკითხში გაეროს რეზოლუციები არ ირღვევა (იმაზე, რომ ეს რეზოლუციები გაურკვეველია, ბუნდოვანია, არაფრის მთქმელია და ა.შ., სხვა დროს ვისაუბრებთ. გაურკვეველია, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულება ეროვნული თვითგანსაზღვრის ცნებისადმი, ერისთვის ისტორიული მეხსიერების ქონის უფლებისადმი და ა.შ. ამაზე სათქმელი ბევრი გვაქვს. რედ.).



მანიფესტაცია ომის არდაწყების მოთხოვნით. მრავალ პლაკატს აწერია: „არა ჩემი სახელით!") („ECONOMIST"-ის ყდა)


სადამ ჰუსეინი. გვ. 12, ECONOMIST, 5.X.

## მოწინააღმდეგის პორტრეტი მკაფიოა

ერაყში გაეროს ინსპექტორთა დაბრუნებას იმავე მანდატით, რაც აქამდელ რეზოლუციებშია გათვალისწინებული, აზრი არა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ ჰუსეინი ყველა პირობის გამტეხი და მატყუარაა. ეს მან უკვე მრავალჯერ დაამტკიცა. ასეთია ამერიკელების ამოსავალი დებულება. რა არის გამოსავალი? ან ამ დიქტატორის წასვლა ხელისუფლებიდან, ან, როგორც მინიმუმი, გაეროს ინსპექტორთა დაბრუნება ახალი მანდატით — და სათანადო შეიარაღებული ძალის მუდმივი მონაწილეობით საჭიროების შემთხვევაში, — რასაც გაეროს ერთი ან რამდენიმე ახალი რეზოლუცია სჭირდება.

გაეროს აქამდელი მოთხოვნა იყო ის, რომ ჰუსეინმა გამოაჩინოს თავისი იარაღი და თან საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ გაანადგუროს (და არა ის, რომ ინსპექტორები შეუშვას. მაშინ (1992 წ.) მას ამისთვის მიეცა 15 დღე. დღემდე მისგან წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი მხოლოდ „ტყუილთა ქსოვილია".

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ობიექტური ინფორმაცია

# ბუშის სეფე-სიტყვა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბუშის ენერგიული სატელევიზიო გამოსვლა 7 ოქტომბერს იმას მოწმობდა, რომ იგი აპირებს რამდენიმე კვირამდე შეამციროს ის დრო, რომელიც საზოგადოებრივი აზრის შექმნას სჭირდება. ამჯერად მან, THE ECONOMIST-ის სიტყვით, ზომიერი და თავდაჭერილი ტონით ილაპარაკა. „იყო რამდენიმე ბრბოს მაამებელი შტრიხი", მაგრამ ძირითადად ეს სიტყვა იყო „ფრთხილი არჩევანის" დემონსტრაცია. მის კილოში, ჰამლეტის მამის მსგავსად, „მწუხარება უფრო იყო, ვიდრე რისხვა". იგი ლაპარაკობდა უფრო როგორც იურისტი, ვიდრე როგორც მთავარსარდალი. იგი შეეცადა პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომლებიც ამერიკელებს დღეს ყველაზე მეტად აღელვებს: რატომ ერაყი და არა სხვა რომელიმე მიულებელი რეჟიმი? იმიტომ, რომ იქ „კაცისმკვლელი ტირანისა" და მასობრივი განადგურების იარაღების უნიკალური კომბინაცია შეიქმნა. და, ამასთანავე, ამხედრებული ანტიამერიკული იდეოლოგია ბატონობს! რატომ ჯერ ალ-ყაიდასთან ომს არ ვამთავრებთ, სანამ ერაყს დავარტყამდეთ (როგორც ეს ალ გორს უნდა)? იმიტომ, რომ ეს ორი მოვლენა „ერთი და იმავე ბოროტების ორი სახეა". რატომ მაინცდამაინც ახლა? იმიტომ, რომ უმოქმედობა ახლა ყველაზე უარესი არჩევანი იქნებოდა. ამ ტელეგამოსვლის ღირსება იყო ყველა დეტალზე იმ არგუმენტების თავმოყრა, რომლებიც დღეს არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამ წყნარი კილოსი, გამოსვლას მაინც „ფოლადის ღერო" გასდევდა.



პრეზიდენტი ხალხს მიმართავს. The Economist

ამ ძლიერი გამოსვლით და იმით, რომ კონგრესში ბუშს მომხრეთა შემოკრების საქმე კარგად მიუდის, ამაღლდა იმის ალბათობა, რომ გაერო მხარს დაუჭერს ანტიერაყულ აქციას. მეორე მხრივ, არსებობს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) მეთაურის, ტენეტის წერილი, რომელშიც ავტორი ამტკიცებს (ჟურნალის სიტყვით — მოუხერხებლად ამტკიცებს), რომ ჰუსეინზე დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს ქიმიური ან ბიოლოგიური დარტყმა მისი მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ასეთი დარტყმა გარდუვალი არ ჩანს.

ამასობაში ამერიკელების სამხედრო მზადება გრძელდება. მათი ძალები, რომლებიც სპარსეთის ყურის ზონაში დარჩა, არსებითად გაიზარდა და შესაძლოა 8 კვირაში მზად იყოს სრულმასშტაბიანი დარტყმისათვის. ვარაუდობენ, რომ იქ 40000 სამხედრო მოსამსახურეა და მზადაა აღჭურვილობა კიდევ 50 ათასი სამხედრო ქვეითისათვის.

# ერთი პატარა შტრიხიც – ნავთობი

ერაყს 110 მილიარდი ბარელი ნავთობი აქვს, რაც უკვე დამტკიცებულია, და თავის დასავლეთ უდაბნოში კიდევ ბევრის პოვნის იმედი აქვს. იგი მეორე ადგილზეა მსოფლიოში (პირველი ეკუთვნის საუდის არაბეთს, რომელსაც თითქმის ექვსჯერ მეტი აქვს). სადამ ჰუსეინი ცდილობს, ეს უპირატესობა მაქსიმალურად გამოიყენოს პოლიტიკურად მნიშვნელოვან სახელმწიფოთა მისამხრობად მანამდე, სანამ საბოლოოდ გაირკვეოდეს მასზე შემომტევი სამხედრო კოალიციის კონტურები. თუ ადრე იგი თავის ნავთობს პოლიტიკური მიზნით „ხელს მოუჭერდა" ხოლმე საჭირო მომენტებში, რათა მსოფლიოს მყიფე ენერგეტიკა შეერყია, ახლა იგი, პირიქით, აქეთ-იქით არიგებს გულუხვ გიგანტურ კონტრაქტებს თავისი „შავი ოქროს" ძიებასა, ექსპლოატაციაზე და ექსპორტზე. ცარიელზე რჩებიან — ბუნებრივია, — მხოლოდ ამერიკული ნავთობგიგანტები.

აი, ფაქტები და ციფრებიც (??ტჰე ეცონომისტ-ის წერილი „სადამი ხიბლით უტევს". 12.X.2002):

ერაყის ნავთობის ექსპორტი ბოლო რამდენსამე კვირაში გადიდდა ორჯერ (თუმცა — ძალიან დაკლებული დონიდან). ფრანგულმა ტოტალ ფინაელფმა", იტალიურმა „ენიმ" და ესპანურმა „რეფსოლ-იპიეფმა" დიდი შეთანხმება დადეს ერაყის ნავთობის ბაზარში გატანაზე. თურქები შუთანხმდნენ ჩრდ. ერაყში ბურღვის დაწყებაზე. რუსულმა „ტატნეფტმა" დაიწყო პირველი ჭაბურღილის ბურღვა მომავალი 70-იდან. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია რუსულ ფირმებთან მომავალი კავშირებისა. მრავალნი ფიქრობენ, რომ რუსულმა „ზარუბნეფტმა" („ტატნეფტიც" მისთვის მუშაობს) 90 მილიარდი დოლარის კონცესიები გაინაღდა. ერაყის რესურსების წილი მოელით ჩინეთისა და ინდოეთის სახელმწიფო კომპანიებს და „როიალ დაჩშელსაც" კი. რუსულ „ლუკოილს" აქციების დიდი წილი აქვს დასავლეთ ყარნას გიგანტურ საბადოში და იქ 4 მლრდ დოლარის დაბანდებას ფიქრობს. რუსეთმა და ერაყმა ენერგეტიკასა და მასთა ნდაკავშირებულ დარგებში „ეკონომიკური თანამშრომლობის" შეთანხმებას მიაღწიეს, რომელიც, როგორც ფიქრობენ, 40 მლრდ დოლარი ღირს. სულ სადღეისოდ ერაყს ხელმოწერილი აქვს 30 დიდი კონტრაქტი, რომელიც სანქციების მოხსნასლაელის, რათა მოქმედებაში შევიდეს.



რისი იმედი აქვს ჰუსეინს? იმისი, რომ მისი ნავთობითა და ხელსაყრელი პირობებით დაინტერესებული სახელმწიფოები შეეწინააღმდეგებიან ერაყზე კოლექტიურ თავდასხმას. რის იმედი აქვთ ამერიკელებს, რომლებიც ამჯერად ერაყის ნავთობის უწილოდ რჩებიან? იმისი, რომ „ყოფილი დიქტატორის" მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები ჰუსეინის დამხობისთანავე ფარატინა ფურცლებად იქცევა. რისი იმედი აქვთ ჰუსეინის კონტრაქტორი მესამე ქვეყნების მენავთობეებს? იმის, რომ ამ ხელშეკრულებათა გაბათილება არც ისე ადვილი იქნება. „დოიჩე ბანკის" ექსპერტები ფიქრობენ, მაგალითად, რომ „პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია" იმ პროგნოზის საფუძველს იძლევა, რომ „მკაფიოდ გამოითქვას იმედი, რომ კონტაქტები ძალაში დარჩება" — სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ასეთ დროს ბიუროკრატიები ძირითადად უცვლელი რჩება ხოლმე (ერთგული ოპოზიციის დაქსაქსულობაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ). ამიტომაც რუსეთის ნავთობგიგანტები ეხვეწებიან პუტინს, ამერიკელებს გაურიგდეს იმაზე, რომ მათი ოპერაციის მხარდაჭერის სანაცვლოდ ამერიკელებმა პირობა მისცენ, რომ რუსების კონტრაქტები ძალაში დარჩება. „ლუკოილის" მეთაურის სიტყვით, მას პუტინისგან „გარანტია" მიუღია, რომ ასეთი გარიგება მოხდება.

კონტრაქტორებისათვის ოპტიმისტურ პროგნოზს ემხრობა ვენესუელის სახელმწიფო სანავთობე კომპანიის ყოფილი პრეზიდენტი ჯიუსტიც და თავისი ქვეყნის გამოცდილებას იმოწმებს: ძალაუფლების პრეტენდენტი ღიად აცხადებდა, რომ ექსპლოატატორულ კონტრაქტებს გააუქმებს უცხო ფირმებს, მაგრამ, ხელისუფლებაში მისულმა, ეს ველარ გაბედა. ყოველივე თქმულის საფუძველზე ჟურნალი ფიქრობს, რომ ძნელი წარმოსადგენია, პოსტ-ჰუსეინური ერაყის ნავთობში ამერიკულმა ნავთობგიგანტებმა წილი ვერ მიიღონ. მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ მათ დიდი იურიდიული სიძნელეები შეჰხვდებათ, მით უფრო, თუ ჰუსეინის დამხობა შიგნიდან მოხდება და არა გარედან.

## «მსოფლიოს ახალი სახელოსნო»

ასე უწოდებს „THE ECONOMIST" ჰონკონგის დასავლეთით, „მარგალიტის მდინარის" ფართო დელტის გარშემო სწრაფად მზარდ სავაჭრო-ინდუსტრიულ რეგიონს, რომელიც ოციოდე წლის ასაკის რამდენსამე მილიონიან ქალაქს ითვლის. აქ, ჰონკონგის გარდა, რამდენიმე სხვა განსაკუთრებული სტატუსის ტერიტორიაც არსებობს (ჩინეთის შემადგენლობაში და ჩინელებით დასახლებული), რომელთაც დენსიაო-პინის მმართველობის დროს ეკონომიკური ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. აქაური კომპანიები თავის საბუღალტრო, სამენეჯმენტო და სხვა ანალოგიურ საქმიანობას ამ ყოფილი და ამჟამინდელი განსაკუთრებული ტერიტორიების ფარგლებში ეწევიან, სადაც კვალიფიციური და პატიოსანი კადრია, დანარჩენს — კონტინენტზე, სადაც იაფი მუშახელია. აზიას და მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი ეკონომიკური „ვეფხვი" (ან: ვეფხვები) ემატება.




ბასკებს ესპანეთში ფართო ტერიტორიული ავტონომია აქვთ. ამ ცოტა ხნის წინათ ესპანეთის ბასკური რეგიონის „ბასკური ნაციონალისტური პარტიის" პრემიერმა (ლიდერმა) ხუან ხოზე იბარეთხემ წამოაყენა იდეა, რომ ამ რეგიონმა ახლებურად განსაზღვროს თავისი მიმართება ცენტრალურ სახელმწიფოსთან როგორც „თავისუფალი ასოციაცია" ერთი სუვერენის (უმაღლესი ხელისუფლის) ხელში. ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა აზნარმა ამ აზრს უწოდა „გზააბნეული ფანატიკოსის" გამოსვლა, რომელიც „ეწინააღმდეგება კონსტიტუციას" და ძირს უთხრის ყველაფერს, რაც მიღწეულია უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ურთიერთობათა დარეგულირების მხრივ.

ბასკი პოლიტიკოსი პასუხობს, რომ არც 1978 წლის ესპანეთის კონსტიტუცია, არც სპეციალური სტატუსი, რომელიც განსაზღვრავს ბასკური ავტონომიის ზომას, სტატიკური (უძრავი) დოკუმენტები არ არის. ამ რეგიონს დღესაც უკვე ფართო საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებამოსილებები აქვს. 27 სექტემბერს იბარეთხეს უკვე გამოთქმული აქვს თავისი ხედვა ბასკების ქვეყნის მომავლისა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, საკუთარი მოქალაქეობით და საგარეო პოლიტიკით, რომელიც დაკავშირებულია ესპანეთთან როგორც თანასწორი თანასწორთან და მასთან ერთად თანამშრომლობს, როგორც მისი ასოციატი, ევროკავშირში. გარდა ამისა, ნავარასაც (რომელსაც ბასკები თავის სამშობლო მიწას ათვლიან) უნდა დაერთოს ნება, თუკი ჰსურს, შეუერთდეს ამ ახალ სახელმწიფოს, რომელიც ამავე დროს შეეცდება სპეციალური ურთიერთობები დაამყაროს სამხრეთ-დასავლეთი საფრანგეთის სამ ბასკურ პროვინციასთან.

ეს გეგმა იბარეთხეს სიტყვით, დაკონკრეტდა მომავალი წლისთვის და სარეფერენდუმოდ წარედგინება რეგიონის ამომრჩეველს „მშვიდობიან პირობებში". ამ განცხადებამ შვა აზრი, რომ, შესაძლოა, ამ დროისთვის „ეტა" — ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია — ცეცხლის დროებითი შეწყვეტის (დაზავების) გამოცხადებას გეგმავდეს. ასეთი ცეცხლის შეწყვეტა მას ერთხელ უკვე ჰქონდა გამოცხადებული 1998 წელს, მას შემდეგ, რაც იბარეთხეს პარტიას შეუთანხმდა, რომ ორივენი დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებენ. მაგრამ 1999 წელს ეს დაზავება შეწყდა, რადგანაც დარეგულირების საქმე წინ ვერ წავიდა. ამჯერად ეს პარტია უარყოფს ყოველგვარ კონტაქტს „ეტასთან" და მისმა პოლიტიკურმა ფრთამ, „ბატასუნამ" დაგმო იბარეთხეს გეგმა. შერიგების იმედი არის, მიუხედავად იმისა, რომ „ბატასუნა" გაუქმებულია სასამართლოს მიერ.

# ესპანეთის ბასკები რეფერენდუმს ითხოვენ


იბარეთხე და მისი დროშა („THE ECONOMIST"-იდან).

იბარეთხე აპირებს თავისი გეგმა მოლაპარაკებისათვის წარუდგინოს ესპანეთის მთავრობას და პარლამენტს. ესპანეთის ორივე მთავარი პოლიტიკური პარტია — აზნარის „სახალხო პარტია" და „სოციალისტები" კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან, მაგრამ არის მითქმა-მოთქმა, რომ ამ იდეას მხარდაჭერა ექნება კატალონიის ნაციონალისტებისაგან, რომელნიც საკუთარ რეგიონს მართავენ, და გალიციელი ნაციონალისტებისაგან.

იბარეთხეს ჰსურს, რომ მეფე ხუან კარლოსი დაეხმაროს მისი იდეის განხორციელებაში. სუვერენი იქნება ესპანეთის მონარქი და იგი უფლებამოსილებებს ბასკეთის მიმართ გაინაწილებს ბასკეთის ძლიერ პრეზიდენტთან. ამ როლის მსგავსი როლი ხუან კარლოსმა შეასრულა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ 1975 წელს, როცა დემოკრატიის შექმნას დიდი ღვაწლი დასდო. საჯაროდ ხუან კარლოსს ნათქვამი აქვს, რომ იგი კონსტიტუციის ერთგულია, რომელიც ესპანეთს „დაუშლელ" სახელმწიფოდ საზღვრავს. კერძო ურთიერთობაში კი იგი იმ ერთადერთ კაცად ითვლება, რომელსაც შეუძლია წონასწორობა დაიცვას იმ კონსტიტუციურ კრიზისში, ესპანეთში რომ უკვე 28 წლის მანძილზე გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპორტი

# ვინ აღორძინებს ქართულ ჭიდაობას?

ქართულ ჭიდაობას უძველესი ფესვები აქვს. ეროვნული სპორტის ეს სახეობა ქართული სულის ანარეკლია. იყო დრო, როცა ქართული ჭიდაობა ალმავლობას განიცდიდა, თუმცა როდეს იგი თითქმის ჩამკვდარ-ქვეყნის ჭირ-ვარამმა კულტურის, სპორტის, ხელოვნების ყველა დარგის განვითარებას თავისებური დაღი დაასვა. ეს ქართულ ჭიდაობასაც დაეტყო. იმის გამო, რომ იგი ოლიმპიური სახეობის სპორტი არ გახლავთ, მისდამი ინტერესი თანდათან შენელდა, ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილმა უყურადღებობამ და დაუფინანსებლობამ ხომ მთლიანად მოუღო ბოლო.

თუმცა, ბოლო პერიოდში გარკვეული ძვრები ქართული ჭიდაობის აღორძინების თვალსაზრისით მაინც შეიმჩნევა. ამის მიზეზი, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი გახლავთ. ბატონი გოგი ლიპარტელიანი სულ ექვსი თვეა, რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნა და... ამ მოკლე დროში ხუთი ტურნირი უკვე ჩატარდა: საგარეჯოში, ერგნეთში და სამიც თბილისში.

— წელს კიდევ ერთი ტურნირის ჩატარებას ვაპირებთ. იგი 23-24 ოქტომბერს ცირკში გაიმართება, შემდეგ უკვე მომავალი წლის გეგმას შევიმუშავებთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეროვნული სპორტის ეს სახეობა ფეხზე დადგეს. ცნობილია, რომ მოჭიდავეთა დიდი ნაწილი წლების მანძილზე რაიონულ სექციებში აღზრდილი ახალგაზრდა სპორტსმენები იყვნენ. ამის გათვალისწინებით რაიონებში სექციებს გავხსნით და იქ ჩავრთავთ მოსწავლე ახალგაზრდობას.

ღმერთმა არა ქნას, რომ საქართველოში ეროვნული სპორტი არ განვითარდეს. ქართული ჭიდაობა არის ყველა ჭიდაობის საფუძველი. აქედან მოდის თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, კლასიკური ჭიდაობა.

სპორტის განვითარებას პირველ რიგში სჭირდება ფინანსები. მთავრობა მხოლოდ სიტყვით მიჭერს მხარს, საქმით კი არა. ერთ კაპიკსაც არ დებენ სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის. უფრო მეტსაც გეტყვით. წელს 5000 ლარი იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში, თუმცა არაფერი მიგვიღია. მთლიანად მე ვაფინანსებ ყველა ღონისძიებას. ამჟამად სპორტის დეპარტამენტს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. მის მოადგილედ დაინიშნა დავით გობეჯიშვილი, რომელიც კურირებს ჭიდაობას. ბატონი დავითი მომავალი წლიდან სერიოზულ დახმარებას აღგვითქვამს. მოჭიდავეებს იმედი გაუჩნდათ, რომ ახლა მაინც შეიცვლება რამე უკეთესობისაკენ.

**— ბატონო გოგი, თქვენ საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატი ბრძანდებით, გაქვთ აგრეთვე საკუთარი ბიზნესი, თანამდებობების ნაკლებობას არ განიცდით. ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობა რამ გადაგაწყვეტინათ. თუნდაც დროის უქონლობის პრობლემა არ გაწუხებთ?**

— მართალი ბრძანდებით. მე მაჟორიტარი დეპუტატი ვარ, როცა საკანონმდებლო ხელისუფლებაში საქმეს აკეთებ, სხვა რამისთვის დრო აღარ გრჩება, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, რომ აქ მოვსულიყავი, ამიხსნეს, რომ აქ საჭირო ვიყავი, რომ მიტოვებული იყო ეროვნული სპორტის ეს სახეობა და ჩემი ძალისხმევა სჭირდებოდა მის აღორძინებას. რადგან საქმე ეროვნულ საკითხებს ეხებოდა, სიმართლე გითხრათ, თავპატიჟი არ გამოვიდე. მთელი მონდომებით შევუდექი საქმეს. შედეგი სახეზეა. დღეს პრეზიდიუმში 40 წევრია. ყველა გამოცდილი სპორტსმენია. პრაქტიკულად მათთან ერთად წყდება ქართული ჭიდაობის ბედი. ამ დღეებში ჩატარდება „ფალავნობა", შემდეგ შევიკრიბებით პრეზიდიუმის წევრები და მომავალი წლის გეგმას შევიმუშავებთ. ეს გარკვეულწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, რა თანხას ჩაგვიდებენ ბიუჯეტში და რა ოდენობის თანხის მოზიდვას შევძლებთ ჩვენით. საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე უნდა გაჭიმო ფეხიო, არსებობს ასეთი ანდაზა. ისე, მე მაინც ჩემი მეგობრების დახმარების იმედი მაქვს.

**— ბატონო გოგი, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ ექვსი თვის მანძილზე ჩატარებულ 5 ტურნირზე მსაჯებმა ხარვეზები გამოავლინეს. არაობიექტური შეფასებების გამო კონფლიქტური სიტუაციებიც კი შეიქმნა.**

— მართლაც მოხდა ამგვარი შემთხვევა, მაგრამ ამის ასაკვეთად ჩვენ გარკვეული ღონისძიებები უკვე გავატარეთ. მომავალი ტურნირის წინა დღეებში ჩატარდა სემინარები მთავარი მსაჯებისათვის, რათა მათ რამე არაობიექტურად არ შეაფასონ. ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ ტურნირი „ფალავნობა", რომელიც 23-24 ოქტომბერს გაიმართება, მაღალ დონეზე ჩატარდეს.

**— საქართველოს ფავალანს, ჩვენი ინფორმაციით, ჯილდოდ ოქროს მედალი გადაეცემა. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?**

— ფალავნისთვის ჯილდოდ გადასაცემი 40 გრამიანი ოქროს მედალი მე დავამზადებინე. ეს ნაბიჯი იმისათვის გადავდგი, რომ გარკვეული ინტერესი და აზარტი ჰქონდეს სპორტის ამ სახეობაში გამარჯვებას. მართალია, გამარჯვებასთან ოქრო რას მოვა, მაგრამ სამახსოვრო მედალს თავისი ფასი მაინც აქვს.

**ნანა ძველაია**

# ამერიკელების მიერ ქართველი სამხედროების მომზადება ძლიერი ჯარის შესაქმნელად არ კმარა

მე-3 გვერდიდან

ასეულების ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა არა M113A1/A2 ჯავშანტრანსპორტერი, არამედ საარმიო სატვირთო ავტომობილი. ქვეით ბატალიონში მოითვლებოდა პირადი შემადგენლობის 820 ადამიანი, 680 საიერიშო შაშხანა M16A2, 7,62 და 12,7 მმ ყალიბის 42 ტყვიამფრქვევი, 86 40-მმ ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 18 90-მმ უკუცემა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, ექვსი თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „თოუ", 13 ნაღმსატყორცნი (მათგან ცხრა 81 მმ და ოთხი 106,7 მმ ყალიბის; სამ-სამი 81 მმ ნაღმსატყორცნი თითოეულ ქვეით ასეულში და ოთხი 106,8 მმ ნაღმსატყორცნი — ბატალიონის საერთო საარტილერიო მხარდაჭერისთვის), ხუთი გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსი „რედ აი", ას-ასზე მეტი რადიოსადგური და ავტომობილი.

80-იან წლებში, მოტოქვეითი ბატალიონის მსგავსად, ქვეით ბატალიონშიც დაუმატეს მეოთხე ქვეითი ასეული, საჭიროების შემთხვევაში ერთდროულად ორ ობიექტზე შესატევად, სადაზვერვო და ნაღმსატყორცნების ოცეულები გადაიყვანეს საშტაბო ასეულში, ხოლო ტანკსაწინააღმდეგო ოცეული გაზარდეს ტანკსაწინააღმდეგო ასეულამდე, რითაც აამაღლეს ბატალიონის ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობები. გარდა ამისა, 12,7 მმ ტყვიამფრქვევები, 40-მმ ტანკსაწინააღმდეგო თოფები, 90-მმ უკუცემა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და „რედ აის" ტიპის საზენიტო რაკეტები ამოიღეს შეიარაღებიდან და მათ ნაცვლად ბატალიონში მიაწოდეს 5,56-მმ ბელგიური წარმოების ტყვიამფრქვევები, 40-მმ ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნები, „დრაკონის" ტიპის მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო და „სთინგერის" ტიპის გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსები.

ბატალიონის ზემდგომი საჯარისო რგოლია ბრიგადა. ქვეით ბრიგადაში შეიძლება შედიოდნენ ერთ სატანკო ბატალიონამდე, სამი-ოთხი ქვეითი ბატალიონი, 105-მმ ბუქსირებადი ჰაუბიცების დივიზიონი (18-24 ქვემეხი), ბატალიონების ნაღმსატყორცნებზე დამატებით 106,7 და 120-მმ ნაღმსატყორცნების ქვედანაყოფები, საინჟინრო-მესანგრეთა, სადაზვერვო, საზენიტო, კავშირგაბმულობის, სამედიცინო, სარემონტო, მასობრივი იარაღისგან დაცვისა და სხვა ქვედანაყოფები.

სამი ბრიგადა შედის დივიზიაში, სადაც მათ ემატებიან საარტილერიო, საზენიტო, სადაზვერვო, რადიოელექტრონული ბრძოლის, საარმიო ავიაციისა და ზურგის უზრუნველყოფის ნაწილები და ქვედანაყოფები.

70-იან წლებში გფრ სახმელეთო ჯარებში სატანკო და მოტოქვეითი შენაერთების გვერდით იყო ქვეითი ბრიგადებიც. მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისში გატარებული რეორგანიზაციის შედეგად დატოვეს მხოლოდ სატანკო და მოტოქვეითი დივიზიები, აგრეთვე თითო-თითო სამთო ქვეითი და საჰაერო-სადესანტო დივიზია, აგრეთვე სხვა ჯარები. ქვეითი ნაწილები კი გადაიყვანეს ტერიტორიული თავდაცვის ჯარების შემადგენლობაში. მაგრამ თითოეული სატანკო და მოტოქვეითი დივიზიის საბრძოლო შემადგენლობაში შეიყვანეს ორ-ორი ქვეითი ბატალიონი, რომელთა გამოყენებასაც ბუნდესვერის სარდლობა ვარაუდობდა ძლიერად დასერილ ადგილას ან მსხვილ დასახლებულ პუნქტებში (ქალაქებში). ამ დროს გფრ ქვეით ბატალიონი მოითვლიდა პირადი შემადგენლობის 660 ადამიანს, ხუთ m113 ჯავშანტრანსპორტერს, ექვს 120-მმ თვითმავალი ნაღმსატყორცნს, „მილანის" ტიპის ცხრა ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსს, „ფანტერფაუსთ-1" ტიპის 60 44-მმ ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნს, 120 რადიოსადგურს, 160 ავტომობილს.

ჩვენი მეზობელი თურქეთის სახმელეთო ჯარების საფუძველს ცივი ომის პერიოდში შეადგენდნენ უპირატესად ქვეითი ნაწილები და შენაერთები, მაგრამ 90-იან წლებში აშშ და გერმანიის სამხედრო-ტექნიკური დახმარების შედეგად ეს თანაფარდობა შეიცვალა ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვეითი ჯარების სასარგებლოდ. 2000 წელს თურქულ არმიაში შედიოდნენ თითო-თითო მექანიზებული ქვეითი და ქვეითი დივიზია (ეს უკანასკნელი სატანკო პოლკით), 14 ჯავშანსატანკო, 17 მექანიზებული ქვეითი, ცხრა ქვეითი და ოთხი „კომანდოსების" ბრიგადა, აგრეთვე სხვა ერთეულები. აღსანიშნავია, რომ 1-ლ და მე-3 საველე არმიებში, სადაც დიდი რაოდენობით ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთებია, ქვეითი ბრიგადები ძირითადად სუსტი შემადგენლობისაა, სამაგიეროდ მე-4 „ეგეოსის" არმიაში შემავალ მე-11 (დენიზლი) და მე-19 (ედრემითი) ქვეით ბრიგადებში საბრძოლო ტექნიკა და საველე არტილერია დიდი რაოდენობითაა თავმოყრილი. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია სამი ძლიერი თურქული ქვეითი ბრიგადის ძირითადი შეიარაღება 1998 წლის დასაწყისის ეუთო-ს მონაცემებით (იხ. ცხრილი).

| ბრიგადა | ზემდგომი საჯარისო რგოლი | დისლოკაციის ადგილი | პირადი შემადგენლობა | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე არტილერია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 48-ე ქვეითი | მე-3 არმია | ტრაპიზონი | 6369 | – | – | 78 |
| 11-ე ქვეითი | მე-4 არმია | დენიზლი | 4422 | 31 | 6 | 87 |
| 19-ე ქვეითი | მე-4 არმია | ედრემითი | 4908 | 30 | 5 | 81 |

შედარებისთვის ვიტყვით, რომ ჩვეულებრივ თურქულ ჯავშანსატანკო (მექანიზებულ) ბრიგადაში შედის 50-60 საარტილერიო ერთეული, აქ კი 80-85. თანაც 48-ე ქვეითი ბრიგადის შეიარაღებაში ნაჩვენები 78 საარტილერიო ერთეულიდან 24 105-მმ ბუქსირებადი ჰაუბიცაა, 18 106,7-მმ და 36 120-მმ ნაღმსატყორცნი.

ამ ფონზე სავსებით ნათელია, რომ ამერიკელების მიერ მომზადებული მსუბუქად შეიარაღებული ქართული ჯარები შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ თუნდაც ქვეით თურქულ ბრიგადებს, რომ არაფერი ვთქვათ თურქულ და რუსულ მექანიზებულ (მოტომსროლელ) შენაერთებზე. ამიტომ თუკი საქართველომ ვერ მიაღწია მისთვის ეუთო-ს ეგიდით დადგენილ შეიარაღებათა კვოტების გადასინჯვას, თავდაცვისუნარიან სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება.

**ირაკლი ხართიშვილი**

ჯანმრთელობა

# სახსრების გაწმენდა

რატომ არის აუცილებელი სახსრების გაწმენდა: დღესდღეობით, ალბათ, არ არის ადამიანი, რომელიც არ გრძნობდეს ტკივილს ან თუნდაც დისკომფორტს სახსრებში და ხერხემალში მარილების დაგროვებით. დროთა განმავლობაში ჩვენი სახსრები, ხერხემალი კარგავენ თავიანთ ელასტიურობას და მოქნილობას, „ნაგვიანდება" სხვადასხვა მარილებით, ძირითადად არაორგანული კალციუმით. საჭიროა, დროულად გავთავისუფლდეთ მათგან.

რა დაავადებებს ვმკურნალობთ ან ავიცილებთ სახსრების გაწმენდით: პოდაგრული ართრიტი, ოსტეოქონდროზი, ამინდის ცვალებადობასთან დაკავშირებული ძვლების ტკივილი.

**განწმენდის მეთოდიკა: მეთოდი №1 — დაფნის ფოთლით.**

დილით 5 გ დაფნის ფოთოლს (რამდენიმე ფოთოლი) ვათავსებთ მომინანქრებულ (ემალის) ჭურჭელში და ვასხამთ 300 გ წყალს. მიგვყავს დუღილამდე და ვადუღებთ 5 წუთს თავღია მდგომარეობაში. შემდეგ ჭურჭელს გადმოვდგამთ ცეცხლიდან, ვახურავთ თვავს და გადასაფარებლით კარგად შევფუთავთ. ასე ვაჩერებთ 3 საათს.

მიღება: 12 საათის განმავლობაში მხოლოდ მცირე ყლუპებად, 1 ჩაის კოვზი ყოველ 12 წუთში (ერთბაშად დიდი დოზით გამოყენებამ შეიძლება სისხლდენა გამოიწვიოს!). ნახარშს ვლებულობთ სამი დღის განმავლობაში. ერთი კვირა ვისვენებთ და შემდეგ ისევ ზედიზედ 3 დღის განმავლობაში. პირველ წელს წმენდას ვახდენთ კვარტალში ერთჯერ, შემდეგ კი — წელიწადში ერთჯერ.

მოსალოდნელი მოვლენები: წმენდისას შეიძლება გაძლიერდეს შარდვა, შარდი გახდეს ვარდისფერი, ადგილი ჰქონდეს შარდის ბუშტში და შარდსადინარში წვის შეგრძნებას. არაფერია საშიში: მარილები იმდენად ინტენსიურად იხსნება, რომ მათი მაღალი კონცენტრაცია აღიზიანებს შარდგამომტან ორგანოებს.

უნდა დავიმახსოვროთ: აუცილებელია განწმენდის წინ და წმენდის დროს მსხვილი ნაწლავის ოყნით განწმენდა და განწმენდის მთელი დღეების განმავლობაში ვეგეტარიანული (უხორცო) კვება. გაითვალისწინეთ, რომ თუ ასე არ მოითქცევით, მაშინ დაფნის ფოთლის გამოყენება გამოიწვევს მსხვილ ნაწლავში არსებული განავლოვანი ქვების გახსნას და მათში მოთავსებული მავნე ნივთიერებების სისხლში გადასვლას, რასაც მოჰყვება ალერგიული რეაქციები.

**მეთოდი №2 — ოხრახუშით და რძით.**

1 ჭიქა ოხრახუშის გახეხილ ფესვებს ვასხამთ 0,5 ლ ცხელ რძეს და ვტოვებთ თერმოსში მთელ ღამეს. დილით ნარევს ავურევთ, ვყოფთ სამ ნაწილად და ვღებულობთ მთელი დღის განმავლობაში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. განწმენდა გრძელდება 10-12 დღე.

თუ ფესვებს ვერ ვშოულობთ, შეიძლება ოხრახუშის დასრესილი თესლების გამოყენება, მხოლოდ ის უნდა ავიღოთ ერთი ჩაის კოვზი 0,5 ლ რძეზე. მიღების წესი იგივეა.

**მეთოდი №3 — ნახურით**

ამ მეთოდით წმენდა რეკომენდირებულია მათთვის, ვისაც ხელის და ფეხის თითებზე აქვთ ძვლოვანი წანაზარდები. გარდა ამისა ნახურის წვენით მკურნალობა დადებითად მოქმედებს ღვიძლზე, თავიდან აგვაცილებს შარდის ბუშტის ანთებას — ცისტიტს და პროსტატიტს.

ვიღებთ ნახურს მთლიანად (ფესვების სისქე არ უნდა იყოს 1,5 სმ-ზე ნაკლები). კარგად ვრეცხავთ, ვატარებთ ხორცსაკეპში, ვწურავთ წვენს. წვენს ვღებულობთ ორი სუფრის კოვზს 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**კომპრესი:** წვენის სმის პარალელურად ვიკეთებთ კომპრესს. ამისათვის გამონაწურს (ე. ი. რაც დარჩება ნახურისაგან წვენის გამოწურვის შემდეგ) ვადებთ მტკივნეულ ადგილას, რომელიც წინასწარ დამუშავებულია მცენარეული ზეთით. ვაფარებთ გამონაწურს ზემოდან მკვრივ ქსოვილს და შემოვახვევთ შალის ნაჭერს. ვაჩერებთ მინიმუმ 1 საათს. შეიძლება მეტიც, სანამ გაუძლებთ. 3-4 ასეთი პროცედურის შემდეგ წანაზარდები მთლიანად გაქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ისტორია

# ვ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

### კრიტიკული მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე 1942 წ.

1942 წლის პირველ ივნისს ჰიტლერი პოლტავაში ჩამოვიდა, მოიწვია საგანგებო თათბირი და ასე მიმართა ჯარების სარდლებს: ...„რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა, ხელში ჩავიგდოთ კავკასია. არა გვაქვს საწვავი“. იგი ამით გულისხმობდა გროზნოს და ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით ჰიტლერმა კავკასიის ფრონტზე გადმოისროლა დიდი რაოდენობის ცოცხალი ძალა, როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე ტექნიკა. გერმანელებს შედგენილი ჰქონდათ სპეციალური ბატალიონები ალპინისტებისაგან, მეთხილამურეებისაგან და ეგერებისაგან.

1942 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა ძალზე გართულდა. მტერი არ ერიდებოდა დიდძალ მსხვერპლს და მთელი ძალით მიიწევდა წინ. უკვე აღებული იყო ქლუხორის, მარუხის და მამისონის გადასასვლელები.

სტალინმა დანიშნა ბერია მთავარი შტაბ-ბინის წარმომადგენლად კავკასიის ფრონტზე. ბერია მეორე დღესვე ჩამოფრინდა თბილისში. მოიწვია სამხედრო საბჭოს სხდომა, სადაც მიღებული იქნა სასწრაფო ოპერატიული ზომები კავკასიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით მოწინავე პოზიციებზე გაიგზავნა სამხედრო საბჭოს წევრები: უშიშროების სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე საჯაია, ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი პავლე ბოდინი, ანდრია ზოდელავა, საგანგებო კომისიის პასუხისმგებელი მუშაკები, გენერალ-მაიორები: ალიოშა გუგუჩია, ვარლამ ქაქუჩაია, ვოლოდია ზარელუა და საქართველოს კპ(ბ) ცეკას მდივანი კალე შეროზია, სულ შვიდი კაცი.

ამ მომენტისათვის წითელი არმიის ნაწილები უკან იხევდნენ. ჯარების მართვასა და ხელმძღვანელობაში უშვებდნენ უხეშ შეცდომებს, შეიმჩნეოდა დაბნეულობა და პანიკა, ადგილი ჰქონდა დეზერტირობის შემთხვევებსაც.

ბერია პირდაპირ გამოცხადდა ფრონტის შტაბში, იქ იხილა უზომოდ მთვრალი გენერლები და სხვა რანგის პანიკით მოცული მაღალი ჩინის ოფიცრები. ყველა ისინი ადგილზე დააპატიმრა და საველე სასამართლოს გადასცა. რუსი სარდალი გადააყენა და კავკასიის ფრონტის სარდლად გენერალი კონსტანტინე ლესელიძე დანიშნა.

კონტრდაზვერვის განსაკუთრებულ განყოფილება „სმერშ“, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა არხებით შემოგზავნილი მტრის დივერსანტების და პანიკიორების გამოვლენა და ადგილზე მოსპობა, ბერიამ სათავეში ჩაუყენა ზემოთ ხსენებული პასუხისმგებელი მუშაკები. ჯარის ნაწილებში ყოველ 100 კაცზე თითო მზვერავი შეაგზავნეს, რათა რეგულარულად ჰქონოდათ ცნობები თითოეული ჯარისკაცის განწყობილების შესახებ.

მიღებული საგანგებო ზომების შედეგად ბოლო მოეღო დეზერტირობას და დივერსანტთა მოქმედებას. მტერი ყველა მიმართულებით შეკავებულ იქნა.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ადგილი რაულ ჩილაჩავას ახლადგამოცემული წიგნიდან „ყველა ლავრენტი ბერიას შვილი“: ...მამა ფრონტზე მოვიდა მეტად კრიტიკულ მომენტში, როცა ფრონტის სარდლობაში სუფევდა დაბნეულობა და პანიკა. გერმანელები საკმაოდ ღრმად იყვნენ შემოჭრილი. აღებული ჰქონდათ: ქლუხორის, მარუხის და მამისონის გადასასვლელები. მაშინ მე 18 წლის ვიყავი, მეკავა უბრალო თანამდებობა, მაგრამ ვხედავდი ყველაფერს, რაც ხდებოდა ირგვლივ. ამიტომ ზოგიერთი დასკვნის გაკეთება, ვფიქრობ, შემიძლია.

**პირველი:** გენშტაბელ ამხანაგებთან ერთად და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით მამამ შეძლო მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის მიეღწია.

**მეორე:** მას შეეძლო სტალინისაგან მიეღო აუცილებელი რეზერვები. ამიერკავკასიის ფრონტზე გადმოსროლილი იქნა წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც ცოტა ადრე, ინგლისელების მოქმედების პასუხად, შეყვანილი იყვნენ ირანის ტერიტორიაზე. ასევე გადმოსროლილი იყო სასაზღვრო ჯარის ნაწილები შორეული აღმოსავლეთიდან. მათმა ჩართვამ საბრძოლო ოპერაციებში გადამწყვეტი როლი ითამაშა ბრძოლის მსვლელობაზე, რაც დამთავრდა ჩვენების გამარჯვებით.

**მესამე:** მამის წინადადებით ჩამოყალიბდა მცირე ჯგუფები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ სნაიპერების უხმო შაშხანებით. ასეთი იარაღი იმ ხანად აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა, იგი აღჭურვილი იყო სპეციალური ხმის ჩამხშობით, რომელსაც უფრო გვიან დაემატა ინფრაწითელი სამიზნეები. ეს ჯგუფები ჩაუსაფრდებოდნენ გერმანელთა ე.წ. „ოფიცრულ დაზვერვას“. მტერი, როგორც წესი, ვიდრე სატანკო კოლონა სოლივით შემოიჭრებოდა, აგზავნიდა 2-3 ტანკისაგან შემდგარ ჯგუფს „ოფიცრული დაზვერვის“ მიზნით, რომელიც გამოჩნდებოდა ყველაზე მოულოდნელ ადგილებში და ახლო მანძილიდან აწარმოებდა სროლას. ჩვენები მათ სპობდნენ, აყავდათ ტყვედ. ამრიგად, ერთ კვირაში მტერმა დაკარგა 500-600 კაცი. დაბნეულმა კლეისტმა (გერმანელთა ჯარების სარდალი კავკასიის ფრონტზე) რამდენიმე დღე არ იცოდა, რა ექნა და არავითარ გადაწყვეტილებას არ იღებდა. ეს დუმილი ჩვენებს დროის მოგების საშუალებას აძლევდა, რაც ხელსაყრელი იყო ჩვენებისათვის.

**მეოთხე:** როგორც ჯარისკაცები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა მამის სახით ხედავდა კაცს, რომელსაც მაშინ ენდობოდნენ. მისი ყოველი გამოჩენა ფაშისტებთან ბრძოლაში გამარჯვების იმედის მომცემი იყო. გრეჩკომ და შტემენკომ თავიანთ მემუარებში ვითარება აღწერეს სწორად, თუმცა ბერიას მოუხსენიებლად და არა ისე, როგორც ამას ვოლკოგონოვი აკეთებს“.

### საგანგებო ზომები კავკასიის ფრონტზე

შეუძლებელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს გაყვითლებული საარქივო დოკუმენტები, რომელთა შორის არის ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის, არმიის გენერლის ი. ტიულენევის მოხსენება საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე, სადაც წერია: ...„დღეს, 1942 წლის 3 ნოემბრის გაავთრებული ბრძოლები მიმდინარეობს იმ ადგილას, სადაც დაიღუპნენ ჩვენი სამშობლოს და ხალხის საუკეთესო შვილები: ალექსი ნიკოლოზის ძე საჯაია, პავლე ივანეს ძე ბოდინი და ანდრია სამსონის ძე ზოდელავა. როცა ჩვენი ამხანაგების ცხედრები მიწას მიბარდება, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარები გამანადგურებელი ცეცხლის მძლავრ ზალპს დაატეხენ თავს მოწინააღმდეგეს და შურს იძიებენ დაღუპული ამხანაგებისათვის საბოლოო გამარჯვებამდე. ა. ნ. საჯაიას საბრძოლო ნიჭს, ვაჟკაცობას და დიდ ავტორიტეტს გულთბილად იგონებენ თავიანთ წიგნებში ისეთი გამოჩენილი მხედართმთავრები, როგორიც იყვნენ: გ. კ. ჟუკოვი, ს. შტემენკო და სხვები.

ა. ნ. საჯაია იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არაერთხელ აირჩიეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად, დაუფასეს დამსახურებაც, მინიჭებული ჰქონდა მთავრობის უმაღლესი ჯილდოები.

კავკასიის ფრონტზე დაიღუპა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი კალე შეროზია. მის შესახებ გადმოგვცემს კანდიდ ჩარკვიანი თავის „მოგონებებში“. დასანანია ის, რომ არც ალიოშა საჯაიაზე, არც კალე შეროზიაზე და არც ანდრია ზოდელავაზე, ადამიანებზე, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ქვეყნის დასაცავად, არაფერი იწერება დღემდე.

ორიოდე სიტყვით გვინდა, მკითხველს მოვუთხროთ სამამულო ომისა და შრომის ვეტერანზე ილია ბარქაიაზე, ვინც რამდენიმე დღე გვიყვებოდა აქ მოთხრობილ სხვადასხვა ფაქტებსა და ეპიზოდებზე.

ილია გიორგის ძე ბარქაია დაიბადა 1913 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში (ამჟამად ხობის რაიონში). საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1935 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ 1938 წელს იწყებს მუშაობას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში ოპერად. იგი მალე იგზავნება შსს კომისარიატის სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1940 წელს სამუშაოდ აგზავნიან შსს კომისარიატის სოხუმის რაიონულ განყოფილებაში.

1941 წლის პირველ სექტემბერს ი. ბარქაია ინიშნება სოხუმის შს განყოფილების გამანადგურებელი ბატალიონის მეოთხე ასეულის მეთაურად. იგი გამოიძახეს ბატალიონის შტაბში, სადაც მას დახვდა გენერალ-ლეიტენანტი ალიოშა გუგუჩია და გენერალ-პოლკოვნიკი ალიოშა საჯაია. მას მიეცა დავალება თავისი ასეულიდან შეერჩია 50 ყველაზე აქტიური, საიმედო მებრძოლი და მათთან ერთად მეორე დღის 5 საათზე გამგზავრებულიყო მესტიაში. მიიღო რა დავალება ბარქაიამ, შემოტრიალდა სამხედრო წესით, რათა შედგომოდა დავალების შესრულებისათვის საჭირო სამზადისს. ამ დროს მან ყური მოკრა საჯაიასა და გუგუჩიას საუბარს: ...„დღეს ლეჩქოფში* „კატიუშა“ ვნახე, ალბათ, სათვალეებიანი** ჩამოსულა. „კატიუშის“ ნახვა ბერიას ჩამოსვლას იმიტომ ნიშნავდა, რომ სარდლებმა შტაბში იცოდნენ, ბერია კავკასიის ფრონტზე ჩამოსვლისას უცდიდა „კატიუშის“ მიღებას“.

კაპიტანი ი. ბარქაია თავისი 50 კაციანი ჯგუფით მესტიაში გაემგზავრა ჭუბერის გზით, რათა მონაწილეობა მიეღო ბერიას დაცვაში. ბერია, როგორც ბატონი ილია ყვება, წამოსულა მესტიისაკენ. ჯვარის გზით „ემკა“ მანქანით. (ასე ეძახდნენ პობედის მარკის წინამორბედ მსუბუქ მანქანა „მ-1“-ს). მესტიისკენ მიმავალ გზაზე, სოფელ ჭკადუაშის გადასახვევთან ბერიას უნახავს ორი კაცი, რომლებიც თხრიდნენ ორმოს, შეუჩერებია მანქანა და უკითხავს: რას თხრით? მათ უპასუხნიათ: „ჰიტლერის საფლავსო“. ამ დროს თურმე ბერიას ფერი ეცვალა და თავისთვის გაიფიქრა: „ვაი, თუ მესტია აიღო მტერმაო“. მაგრამ როცა გაიგო, რომ მესტიამდე მტერი ჯერ არ იყო მოსული, გზა გააგრძელა. სოფელ ლენჯერში, რომელიც მესტიიდან ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული, დიდძალი ხალხი ქუჩაში გამოსულიყო. ელოდნენ ბერიას. როგორც კი გამოჩნდა, სვანმა მშრომელებმა ტაში დასცხეს. იგი ჩამოვიდა მანქანიდან და გულთბილად მიესალმა შეკრებილთ. შემდეგ შედგა ამაღლებულ ადგილზე და ხალხს მიმართა: ...„ძვირფასო დებო და ძმებო, საქართველოს ულამაზესი კუთხის — სვანეთის მცხოვრებნო, ეხლა თქვენზეა და თქვენს ვაჟკაცობაზე ყველაფერი დამოკიდებული, ბელადს თქვენზე დიდი იმედი აქვს, მან თქვენთან დიდი მოკითხვა დამაბარა, გადმოგცათ მხედრული სალამი და მითხრა: ...„გადაეცი სვან ხალხს, ნუ დაივიწყებენ იმას, რომ თამარის დროიდან მოყოლებული ისინი საქართველოს სამეფო დროშის ყველაზე ერთგულ ტომად ითვლებიან“. ამ დროს კვლავ იგრიალა ტაშმა. ტაში ვაშას ძახილმა დაფარა. შემდეგ მოხუცმა სვანმა მურზა ჯაფარიძემ ერთგულება შეფიცა ბერიას და უთხრა: ...„შვილო ლავრენტი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ავისხამთ იარაღს, ან შევაკვდებით უკანასკნელ კაცამდე გერმანელებს, ან სვანეთის მიწაზე ფეხს არ დავადგმევინებთ!“ მურზა ოხუნჯი კაცი იყო, ბოლოს შეპარვით უთხრა: ...„შვილო ლავრენტი, ჩვენ გავიგეთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰიტლერს კოლექტივი არ დაუშლია, თურმე კოლმეურნეობა მოსწონებია. სწორედ ამიტომ მას სვანეთში არ შემოუშვებთ, დედას ვუტირებთ“-ო. აქ ისევ იგრიალა ტაშმა.

ბატონი ილია ყვება: ...„ამ დროს ბერიას გაეცინა, მიხვდა მოხუცი სვანის ოხუნჯობის ქარაგმას და მიმართა ბერიკაცს: „ბატონო მურზა, სიტყვას გაძლევ, როგორც დღემდე არ გინახავს სვანეთში კოლმეურნეობა, არც მომავალში ნახავ მას“-ო.

ლენჯერიდან ბერია დღის სამ საათზე მესტიაში ავიდა. გაიმართა დიდი მიტინგი. მან აქაც იგივე გაიმეორა, რაც ლენჯერში თქვა, თანაც განკარგულება გასცა ხალხისათვის დაერიგებინათ იარაღი. ბერიამ პირობა მისცა შეკრებილთ: „იარაღი გეძლევათ საკუთრებადო“. მან გაითვალისწინა სვანების სიყვარული იარაღისადმი.

გაჩნდა რიგი. მოხალისეები ხელს აწერდნენ წინასწარ შედგენილ სიას. იღებდნენ: შაშხანებს, ავტომატებს და ხელყუმბარებს. მოხალისეთა რაზმები დაყოფილ იყვნენ ასეულებად, მათ მეთაურებად დაუნიშნეს ყველაზე გამოცდილი მთამსვლელები. ერთმა შუახნის სვანმა, გვარად უშხვანმა, ბერიას მიმართა: ...„ბატონი ლავრენტი, ორი შვილი კიევიდან ჩამოვიდა, ახლა მტერთან შესაბმელად სამნი მივდივართო“. ბერიამ ამ კაცს ვაჟკაცობა მოუწონა, გულში ჩაიკრა და გამარჯვება უსურვა.

სვანი მოხალისეებისაგან შემდგარმა რაზმებმა და წითელი არმიის ნაწილებმა ერთად დაიწყეს მოქმედება. სარდლებმა რუქა გაშალეს და გამოცდილ მთამსვლელს პარმენ ნიჟარაძეს უჩვენეს. რუქაზე აღნიშნული იყო საცალფეხო გზა, რომლითაც შეიძლებოდა თითქოს მოწინავე პოზიციებისაკენ სვლა. გამოცდილმა მთასვლელებმა და ეგერებმა გამოიცნეს, რომ რუქაზე აღნიშნული გზა უფსკრულისაკენ მიდიოდა. თურმე როგორც შემდეგ გაირკვა, რუქა პროვოკაციული იყო. ალბათ, იგი მტრის დაზვერვიდან მოხვდა წითელი არმიის შტაბში. ასე იყო თუ ისე, სარდლებმა ირწმუნეს ეგერთა და მთასვლელთა ნათქვამი და ამ კვალს მიყვნენ.

მთის ბილიკზე ჩექმებით და ბათინკებით სიარული ძალზე ძნელია და თანაც საშიშია. მთასვლელთათვის წინასწარ იყო დამზადებული ბანდულები. იგი თითქმის ყველამ ჩაიცვა.

რა თქმა უნდა, საბრძოლო ოპერაციებში თავისი რაზმით აქტიურად ჩაება აქ მოთხრობილი ფაქტების თვითმხილველი ბატონი ილია ბარქაიაც. გარდა თავისი რაზმისა მას დაექვემდებარა ათი წლით პატიმრობა მისჯილი ე. წ. „შტრაფნიკები“, 48 კაცის ოდენობით. ამ კატეგორიის მძიმე დამნაშავეებს სასამართლომ მიუსაჯა ათი წლით პატიმრობა და იქვე ეს სასჯელი შეცვალა ფრონტზე წასვლით. ყველა მათგანს მიღებული ჰქონდა პაკეტი, რომელშიც ეწერა: „დაიცავი სამშობლო, გეხსნება სასჯელი“. ბატონი ილია იგონებს, რომ მისჯილთა უმრავლესობამ საოცარი საბრძოლო ოსტატობა გამოავლინა და შესანიშნავი გმირობაც ჩაიდინა.

ქლუხორის გადასასვლელთან გერმანელები იყვნენ გამაგრებული. ერთ-ერთი საცეცხლე წერტილიდან მტრის ტყვიამფრქვევი განუწყვეტლივ კაკანებდა, მოწინავე ნაწილების წინსვლას მისი ცეცხლი აფერხებდა. სამმა მისჯილმა: კარტოზიამ, გაგ-

გაგრძელება მე-8 გვ.

* ლეჩქოფი ეწოდება სოხუმის იმ უბანს, სადაც რკინიგზის სადგური მდებარეობს.

** სათვალეებიანი — ასე უწოდებდნენ ბერიას.

## ინტერვიუ

# დასავლეთი „კარზე ყურმიდებულ“ ვაიქართველებთან თანამშრომლობით უბრალოდ ეკონომიას აკეთებს

მე-3 გვერდიდან

ბის დრო დაუდგება, რომ პოლიტიკაში სუბიექტის სტატუსი ჰქონდეს და არა ოდენ ობიექტისა, რომელიც დღეს აქვს, ზემოხსენებული ტიპის „კადრი“ სახელმწიფო ამოცანებისგან, რა თქმა უნდა, გამოითიშება.

**— ყველა ასე არ ფიქრობს. მაგალითად, ჟვანიას „ჭკვიან კაცად“ ან „შედარებით ჭკვიან კაცად“ მაინც თვლიან, საზოგადოებრივი აზრის ეს მხარე გათვალისწინებული გაქვთ?**

— ჟვანია „შედარებით ჭკვიანი კაცი“ ჩანს მხოლოდ ხაზარაძის, რჩეულიშვილის, „მონკავშირის“ („მოქალაქეთა კავშირის“) საპარლამენტო ლიდერების და მათ მსგავსთა ფონზე. თავისთავად, იგი ულიმღამო სამოსანია, რომელსაც ეს რეპუტაცია მხოლოდ იმან შეუქმნა (საზოგადოების კარგა ფართო წრეში, მათ შორის, წარმოიდგინეთ, თვით აკადემიური წრეების ნაწილშიც კი), რომ გრამატიკულ შეცდომებს თითქმის არ უშვებს და წინადადებას ბოლომდე ამთავრებს. საზოგადოების ეს კარგა ფართო წრე, სამწუხაროდ, უპრიმიტიულესი პოლიტიკური აზროვნებისაა და ამიტომ არ უჩნდებათ კითხვა: „ამ კაცს რაიმე პოლიტიკური აზრი აქვს თუ არა? რაიმე კონცეფცია გააჩნია თუ არა, ვთქვათ, აფხაზეთის დაბრუნებისა? ან პრივატიზაციის საზღვრების და ოპტიმალური გზების განსაზღვრისა? ან მეცნიერული კადრების გადარჩენისა და მსოფლიო სისტემაში მათი დასაქმებისათვის შესაძლო ძალისხმევები განსაზღვრისა? ან, სულ ზოგადად რომ ვთქვათ: ორგანიზაციისა და თავისუფლების იმ ოპტიმალური შერწყმის განსაზღვრისა, რომელიც ჩვენს ერს და ჩვენს პირობებს არგია?“ ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად უნაყოფო პირი გახლავთ და აბსოლუტურად უნაყოფო წრე (პატიოსნებისა და ერთგულების ფრიად საეჭვო პარამეტრებს აქ აღარ ვეხები). თქმული, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ხალხის პოტენციალი დღეს მაქსიმალური დატვირთვით არ ან ვერ უნდა მუშაობდეს გათვლებზე, დაგეგმვებზე, კადრის გაზრდაზე იმ უახლოესი მომავლისთვის, როცა საქართველოში მოკავშირე ძალის შექმნა — ფიზიკურისა, ეკონომიკურისა და ინტელექტუალურისა — დასავლეთს ამოცანად დაუდგება. არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის რეალურად ხსნის საფუძველზე მანამდე არ უნდა ვიფიქროთ.

**— საამისო ადამიანური პოტენციალი საზოგადოებაში გეგულებათ?**

— რა თქმა უნდა! საკმარისი, მაგრამ არა საკმარისზე მეტი.

**— ხომ არ დაგვისახელებთ?**

— ვერა. ეს სახიფათოა. მაგრამ გეტყვით, რომ ისეთი ადამიანები — ახალგაზრდა და ცოტა მეტი ასაკისა, ვინც ბუნებით მოწოდებულ ე. წ. „პოლიტიკურ კლასს“ შეადგენს, სახელებით და გვარებით საკმარისი ვიცი, მით უფრო — უსახელგვარებოდ. ეს ის დონეა, რომელიც სავსებით ვარგა, რათა ე. წ. „პოლიტიკურ კლასად“ (classe politique, როგორც ფრანგები უწოდებენ) იფუნქციონიროს.

დაგისახელებთ, როგორც იტყვიან, შემთხვევითი ამოკრებით, „კამათლის გაგორებასავით“, ოღონდ დაგისახელებთ სახელთა ინიციალებს ცალკე გვარებისას — ცალკე ორივეს ანბანური რიგით, ვთქვათ, ასე

ბ. გ. გ. გ. თ. კ. მ. მ. შ. შ.
ა. დ. ლ. ნ. პ. ს. ქ. ღ. ჩ. ჯ.

მარი დვალი

ეროვნული

## ჩვენი ისტორია

მე-7 გვერდიდან

ნიძემ და სვანაძემ ცოცვით შემოუარეს საცეცხლე წერტილს, ბლინდაჟში შეუვარდნენ მოწინააღმდეგეს, შიგ აღმოჩნდა მეტყვიამფრქვევე ობერლეიტენანტი და მისი თანაშემწე. ტყვიის გაუსროლელად მათ ხელით მოგუდეს ორივე. ტყვიამფრქვევის კაკანი შეწყდა, მებრძოლები წინ დაიძრნენ. სამივე მებრძოლი ჯილდოზე იქნა წარდგენილი.

ფრონტის ამ უბანზე სვანმა ეგერებმა ორი გერმანელი მზვერა[illegible] დაიჭირეს, მათ მოკლული ჯიხვი ა[illegible]ეს და მესტიაში ჩამოატანინეს.

### ატომური ბომბის საიდუმლოს მოპოვება

1945 წლის მარტში ლ. პ. ბერიამ სსრ კავშირის მარშლის წოდება მიიღო. ამ კაცის ავტორიტეტი ცამდე ამაღლდა. იგი მასთან ერთად იმასაც ამჩნევდა, რომ სტალინის წინაშე ასეთი დიდი ავტორიტეტის მოპოვება და მასთან სულ უფრო და უფრო დაახლოება შურით ავსებდა იმათ, ვინც მაშინ ახლოს იყო და გარს ეხვია სტალინს.

1945 წლის 9 მაისს ომი დამთავრდა. გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას. მაგრამ ამ გამარჯვებას აურაცხელი მატერიალური ზარალის გარდა ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ომმა გააჩანაგა ეკონომიკა. მიწასთან გაასწორა ქალაქები, სოფლები და საერთოდ ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა ყირიმის კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ იაპონიის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ჯარები ჩინეთის ტერიტორიის გავლით შეიჭრნენ მანჯურიაში, სადაც იდგა იაპონიის „კვანტუნის არმია". საბჭოთა შეიარაღებულმა ჯარებმა ისინიც დააჩოქეს.

1945 წლის 9 აგვისტოს ხიროსიმაში და 2 აგვისტოს ნაგასაკში ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო ძალებმა ჩამოაგდეს ატომური ბომბი, რამაც მიწასთან გაასწორა ორივე ქალაქი და გაჟლიტა ორივე ქალაქის მოსახლეობის 70%-ზე მეტი. მოსახლეობის და ჯარის უაზრო ჟლეტვას იაპონიამ უსიტყვო კაპიტულაცია არჩია.

დღეს ცნობილია, რომ ბერიამ, გამოიყენა რა დაზვერვის ყველა მეთოდი, შეძლო თავისი ხალხი შეეგზავნა ამერიკის ლაბორატორიებში და მოეპოვებინა ამ მრისხანე იარაღის დამზადების საიდუმლო.

ხიროსიმას და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ 1945 წლის 20 აგვისტოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ლ. პ. ბერია (თავმჯდომარე), გ. მ. მალენკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, დ. ბ. ვანნიკოვი, ა. პ. ზავენიაგინი, ი. ვ. კურჩატოვი, პ. ლ. კაპიცა, ვ. ა. მახნეევი, მ. გ. პერვუხინი. კომიტეტს ევალოებოდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია ურანის შიგა ატომური ენერგიის კვლევაში და ატომური ბომბის დამზადებაში.

ამრიგად მთელი ძალით გაიშალა მუშაობა ატომური ბომბის შესაქმნელად. როგორც ცნობილია, ამ საშინელი იარაღის შექმნისათვის საჭირო იყო მძიმე წყალი, მძიმე წყლის წარმოება მოეწყო შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმთან ახლოს, სინოპში.

1945 წლის 12 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, სამხედრო საბჭოს წევრმა, გენერალ-მაიორმა კიჭო გაგუამ გამოიძახა შსს სოხუმის საქალაქო განყოფილების უფროსი კოლია ჭითანავა, შსს სოხუმის საქალაქო განყოფილების უფროსი მიტროფანე ბერულავა. აქვე გამოიძახეს აფხაზეთის შსს ყველაზე სანდო და პასუხისმგებელი მუშაკები: კერესელიძე, თოფურიძე, ჭანკვეტაძე და შონია. გამოძახებულთაგან სინოპში ჩამოყალიბდა შტაბი. რომლის უფროსად დაინიშნა გენერალ-მაიორი ეფიმოვი. აქ მოიტანეს, როგორც ბატონი ილია ყვება, ვაგონი სხვადასხვა სახის აღჭურვილობა ლაბორატორიისათვის.

მუშაობა უაღრესად კონსპირაციული ფორმით მიმდინარეობდა. აქვე დაიდგა რამდენიმე რბილი ვაგონი საცხოვრებლად. ჩამოყვანილ იქნა ასამდე გერმანელი სპეციალისტი. ისინი ამონტაჟებდნენ მძიმე წყლის მიღებისათვის საჭირო ტექნიკურ მოწყობილობებს. მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში წარმოებდა ცვლების მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყველაფერი მაქსიმალურად იყო გასაიდუმლოებული. მოსკოვიდან ყოველდღე ახალ-ახალი ხალხი მოდიოდა. აღნიშნული სამუშაოს მიმდინარეობა კრემლს კონტროლზე ჰქონდა აყვანილი. მუშაობის მიმდინარეობას რეგულარულად მოახსენებდნენ ბერიას, ის კი ყველაფერს ატყობინებდა სტალინს. მოსკოვში, სამეცნიერო ლაბორატორიაში, სხვა მეცნიერებთან ერთად მუშაობაში ჩართული იყო ბერიას ვაჟი სერგო. ეს უკანასკნელი ამავე დროს ზედამხედველობას უწევდა მუშაობის მიმდინარეობას.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში ზონა იზოლირებული და მთელი მონდომებით იყო დაცული, გაიქცა ორი გერმანელი, სულ მალე „ამერიკის ხმამ" თურმე გადმოსცა... „შავი ზღვის პირას ატომური ბომბის დამზადებისათვის საჭირო დეტალებს ამზადებენ"-ო. ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში მთელი ლაბორატორია გადატანილ იქნა სინოპიდან აგუძერაში.

### სერგო ბერია გადმოგვცემს

რუზველტის სიკვდილის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა ტრუმენი. იგი ვერ მოესწრო ჰიტლერული გერმანიის დამარცხებას. ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

პოტსდამის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენს თავი ამაყად და გამომწვევად ეჭირა. მას წინა დღეს შეატყობინეს, რომ ატომური ბომბის გამოცდამ სრული წარმატებით ჩაიარა, მისმა დამანგრეველმა ძალამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტრუმენი სწორედ ამ ცნობამ შეცვალა. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ შესვენებაზე მან სტალინთან ლაპარაკისას ჩაურთო, რომ მათ აქვთ უცნაური ატომური იარაღი და რომ მისმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. სტალინმა ამ დროს თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც მიმხვდარიყო, თუ რა თქვა ტრუმენმა. შესვენების შემდეგ იგი სწრაფად დაუკავშირდა კურჩატოვს და დაავალა ყველა ღონე ეხმარათ, რათა დაეჩქარებინათ ბომბის დამზადება. ასეც მოხდა. სსრ კავშირმა უმოკლეს ვადაში დაამზადა ატომური ბომბი.

1946 წელს, სსრ კავშირის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა ნიუ იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ერთ-ერთ სხდომაზე თავის გამოსვლაში საგანგებოდ მიანიშნა: ...„ჩვენ უახლოეს დროში გვექნება ატომური იარაღი, ამისათვის ყველა ნიადაგი მზადაა". მართლაც მალე ამ წინადადების წარმოთქმიდან, დაამზადეს და გამოცადეს კიდეც ატომური ბომბი. გამოცდამ სრული წარმატებით ჩაიარა.

ბერია ცხადია, თავმჯდომარეობდა სპეციალურ კომიტეტს, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ატომური იარაღის შესაქმნელად მიმდინარე ყველა სამუშაოს, მაგრამ თვითონაც მთელი მონდომებით ცდილობდა, ჩამწვდარიყო ყველა დეტალის შინაარსში.

ბერიას ვაჟი — სერგო რ. ჩილავაჩას ნახსენებ წიგნში, (გვ. 55) ამბობს მამაზე: ...„მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო სახაროვის მაგვარად ეწარმოებინა გამოთვლები თეორიულ ფიზიკაში, მაგრამ სავსებით გარკვევით ესმოდა როგორ და სად უნდა გამოყენებულიყო გაანგარიშებით მიღებული შედეგები. მე ვიცი სწავლულთა ნათქვამი: როგორც კი მამა ჩამოიშორეს, ისინი წააწყდნენ მთელ რიგ გადაუწყვეტელ პრობლემებს".

ბერიას განადგურების შემდეგ, მისი შვილიც დაიჭირეს. ამაზე იმ დროს გაზეთი „პრავდა" წერდა: ...„ატომური კვლევის ლაბორატორიაში სრული წესრიგიაო." დიდი ხანი არავინ იცოდა, ყოველივე ამის შემდეგ თუ რა ბედი ეწია ბერიას ოჯახს.

# პ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე"



ახლა მკითხველს ძალზე მოკლედ გვინდა გავაცნოთ, თუ რა გადახდა თავს ბერიას განადგურების შემდეგ მის შვილს სერგოს. იგი ამ რამდენიმე ხნის წინ გამოვიდა საქართველოს ტელევიზიით. დედა — ნინო გეგეჭკორი გარდაიცვალა 1992 წელს

1953 წლის 26 ივნისს, სერგოს თქმით, მამამისი იმყოფებოდა აგარაკზე. დღის 4 საათისათვის, ამბობს სერგო: ...„ჩვენ უნდა მოგვეხსენებინა მამისათვის ბირთვული აფეთქების შესახებ. ჩემთან იყვნენ კურჩატოვი და მახნეევი. ეს უკანასკნელი მამის მოადგილე გახლდათ ტექნიკურ დარგში. საათის თორმეტზე ტელეფონით მელაპარაკა სსრ კავშირის ორგზის გმირი ამეტ-ხანი. იგი აწარმოებდა თვითმფრინავების გამოცდას, რომელიც აღჭურვილი იყო ჩემს მიერ შექმნილი ავტომატიური რაკეტული მოწყობილობებით. მან შემატყობინა, რომ ჩვენი სახლი ალყაშია, მამა მგონი მოკლულია. მე უკვე გამოგიგზავნე მანქანა, იგი კრემლის კარიბჭესთან გელოდება, დაჯექი მასზე და გაემგზავრე აეროპორტში. მზად ვარ წაგიყვანო სადმე სხვაგან, სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა.

იმ დღეს დანიშნული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, სადაც დაგეგმილი იყო განეხილათ სსრ კავშირის უშიშროების მინისტრის ს. იგნატიევის და მისი მოადგილის რ. რიუმინის პირადი მონაწილეობის საკითხი „მეგრელთა საქმის", „ლენინგრადის საქმის" და სხვა საქმეთა შეთითხნაში.

ამეტ-ხანის ზარის შემდეგ სერგო მაშინათვე შეეცადა დაერეკა სხვადასხვა ინსტანციებში, რათა გაერკვია, თუ რა ხდებოდა. ეს მან ვერ შეძლო. ბოლოს მან დაურეკა ვანნიკოვს. ამ უკანასკნელმა დაადგინა, რომ პრეზიდიუმის სხდომა გადადებულია. შეიტყო ისიც, თუ რა ხდებოდა ბერიას გარშემო. ვანნიკოვმა და კურჩატოვმა სერგო დააიმედეს: ...„შენს გვერდზე, შენს დასაცავად ყველანი ერთად დავდგებით"-ო. სერგო როცა გამოვიდა კრემლიდან, დაინახა, რომ ელოდებოდა ამეტ-ხანის მანქანა. მას მეგობრებმა ურჩიეს არ წასულიყო ბინაში. მაგრამ არ დაიჯერა. იფიქრა: „თუ სადმე გავფრინდები, ამით ხელოვნურად გავხდი ჩემს თავს დამნაშავედ. იტყვიან თუ დამნაშავე არ იყო, რად გაიქცაო." ვანნიკოვმა სერგოს გადაწყვეტილება მოუწონა და მასთან ერთად ჩავიდა ბერიების ბინაში, რომელიც მდებარეობდა „სადოვოე კოლცოსთან". მათ იქ ნახეს, რომ სახლი გარშემორტყმული იყო, ახლოს არავის არ უშვებდნენ. დაცვიდან ვილაცამ უთხრა სერგოს, რომ იყო დიდი სროლა და ვილაცა საკაცეთი ზეწარგადაფარებული გამოიტანესო. ამის შემდეგ სერგო ბრონეტრანსპორტიორის თანხლებით წაიყვანეს აგარაკზე. სადაც იმყოფებოდა დედამისი და ოჯახი. ვანნიკოვი წარუდგა დაცვას და განატია მოთხოვა სერგოს უსაფრთხოებაზე. სერგო დააიმედა ვანნიკოვმა და მიაძახა: —„თავი მაგრად დაიჭირე, შენ იცოდე, მეტი გყავს მეგობრები, ვიდრე შენ გგონია"-ო. აგარაკზე მას დახვდა დედა, მან სერგოს დაუწყო გამხნევება და მიმართა: „შვილო სერგო, ნუ გეშინია სიკვდილის, ადამიანი ერთხელ კვდება და მას იგი უნდა შეხვდეს ღირსეულად". შემდეგ მთელი ოჯახი წამოიყვანეს სტალინის აგარაკზე კუნცევოში. იქ ყავდათ ისე, რომ არაფერი აკლდათ თავისუფლების მეტი. ოცი დღის შემდეგ, ღამის სამ საათზე, სერგო გაალვიძეს და ოფიციალურად განუცხადეს, რომ „დაპატიმრებული იყო".

1953 წლის ივლისიდან დეკემბრამდე იგი ჰყავდათ ლეფორტოვის ციხეში. 1954 წლის იანვრიდან გადაიყვანეს ბუტირკის ციხეში, სადაც დაყო ერთი წელი, საკანში მარტომ ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს გარეშე. ასუთივე ბედი ეწია დედამისსაც. ფსიქოლოგიური ზეწოლა მდგომარეობდა იმაში, რომ ათეული დღე და ღამე არ აძინებდნენ, რათა მიეღოთ მათგან „საქმისათვის" საჭირო ჩვენებები.

დედა-შვილს ბრალად ედებოდათ: შეთქმულება სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ, კაპიტალიზმის აღდგენის მიზნით, ტერორისტულ ორგანიზაციებში მონაწილეობა და დივერსიების მოწყობა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რადიო კავშირის დამყარება ინგლისის დაზვერვასთან. არავითარი საბუთი არ გააჩნდა ხელისუფლებას ჩამოთვლილი ბრალდებების დასადასტურებლად. სწორედ ამიტომ სერგომ განაცხადა: „სანამ მე არ წარმომიდგინეთ თუნდაც ერთ ფურცელს დაკითხვის ოქმისას მამის ხელმოწერით, მე ჩვენებას არ მოგცემთ".

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლეფორტოვის ციხეში ყოფნისას, სერგოსთან ორჯერ მისულა გ. მ. მალენკოვი. ეს უკანასკნელი ცეკაში განაგებდა რეპრესიების საკითხს, მას თურმე აინტერესებდა, იცოდა თუ არა სერგომ, სად იყო მამამისის საიდუმლო არქივი. სავსებით შესაძლებელია, ბერიასთან საიდუმლოდ ინახებოდა ისეთი საბუთები, რომელთა სააშკარაოზე გამოტანას შეეძლო გამოუსწორებელი დარტყმა მიეყენებინა არა მარტო მალენკოვისათვის, არამედ...

როგორც ბატონი სერგო ყვება, სასამართლო არ ყოფილა, მაგრამ „სპეციალური სხდომის" მიერ გამოტანილი განაჩენი დახვრეტის თაობაზე იყო. იგი იგონებს: ...„ციხის ეზოში ერთ-ერთი ნახევარსაათიანი სეირნობის დროს გამოჩნდა მეავტომატეთა ოცეული, ჯარისკაცებმა მტაცეს ხელი და დამაყენეს კედელთან. მეთაურმა წაიკითხა განაჩენი — ესა და ეს ნომერი დამნაშავე, რომელსაც ძიება მიჰყავს არასწორი გზით, „დაიხვრიტოს". ამ დროს ვილაც შემორბის ციხის ეზოში, ჯარისკაცებს აძლევს განკარგულებას დაუშვან იარაღი და მე დამაბრუნეს საკანში"-ო. სერგომ იმ განსაცდელის ჟამს, როცა მისკენ მიშვერილი იყო ავტომატების ლულა, დაიყვირა: — „Знаете негодяи, и вас расстреляют по одному, чтобы свидетелей не осталось".

ყველაზე ამაზრზენი სისაძაგლე ამ ისტორიაში ის იყო, რომ ყველაფერს, რაც სერგოს გარშემო ხდებოდა, ციხის სარკმლიდან ხედავდა დედამისი. თურმე იგი მიიყვანეს ფანჯარასთან და განუცხადეს: ...„ახლავე დავხვრეტთ თქვენს შვილს, მაგრამ მისი ბედი თქვენს ხელთაა. აი საბუთები, რომელსაც უნდა მოაწეროთ ხელი. მოაწერეთ ხელი და ჩვენ გარანტიას გაძლევთ მის სიცოცხლეზე"-ო. ამაზე სერგოს დედას უპასუხია: ...„დაგვხვრიტეთ ორივე ერთად, თქვენ სულერთია, თქვენს სიტყვას გასტეხთ და ჯობია ჩვენ ღირსეულ ადამიანებად მოვკვდეთ"-ო. აღწერილი საზარელი სცენის ნახვისას ქალბატონ ნინოს თურმე გული წაუვიდა, იგი ჩაიკეცა, სერგო კი საკანში დააბრუნეს.

დაპატიმრებიდან წელიწადნახევრის შემდეგ სერგო მიიყვანეს უშიშროების საკავშირო მინისტრის კაბინეტში, სადაც იმყოფებოდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორიც. აქ მან დაინახა დედამისი, დედამ როცა ნახა შვილი, მთლად თმა გათეთრებული, ატირდა.

სერგოს განუცხადეს, რომ დედა-შვილი განთავისუფლებული არიან, მაგრამ მას უნდა ეტარებინა დედის გვარი. მას გააცნეს მთავრობის გადაწყვეტილება, რომლითაც ევალოებოდა წყალქვეშა სტარტის ტიპის რაკეტების პროექტის რეალიზაცია. მასთან მას ნება ეძლეოდა ეწარმოებინა სამუშაო, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოს, აგრეთვე ეძლეოდა ნება გაცნობოდა ამ სამუშაოსთან დაკავშირებულ სრულიად საიდუმლო დოკუმენტებს. დოკუმენტში, რომელიც მას ხელზე მისცეს, ნახსენებიც არ იყო მისი პატიმრობაში ყოფნის შესახებ, პროექტის რეალიზაცია უნდა მომხდარიყო ნებისმიერ შესაფერის ქალაქში, გარდა მოსკოვისა. სერგომ ამისთვის სვერდლოვსკი აირჩია.

სერგო დიდი მადლიერებით მოიხსენიებს რუსი ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მათ ფაქტობრივად იხსნეს მისი სიცოცხლე, ამას იგი ხსნის ტექნიკური ინტელიგენციის არა მარტო პირადად მისადმი, არამედ მამამისისადმი თბილი და კეთილი დამოკიდებულებით. სერგოსთან არაერთხელ ყოფილან: კურჩატოვი, სახაროვი და ივანნიკოვი. მას მეცნიერ მეგობრებთან კავშირი ერთი წუთითაც არ გაუწყვეტია.

* * *

ბერიაზე ბევრი დაიწერა, მომავალშიც ბევრი დაიწერება. ზოგი პუბლიკაცია, როგორც ვთქვით, ტენდენციური შურისძიებით გაჟღენთილია. ამ ავტორებს სურთ ყველა ცოდვა, რაც ტოტალიტარული რეჟიმის დროს არის ჩადენილი საქართველოში ამ ერთ კაცს აკიდონ.

1937 წელს მთელ კავშირში მძვინვარებდა სასტიკი რეპრესიები, ყველაფერი ეს ზევიდან — მოსკოვიდან მოდიოდა. მკითხველი უფრო ირწმუნებს მასზე დაწერილ აუგს, თუ იქვე მის დამსახურებაზეც იქნება თქმული.

*გაგრძელება იქნება*

საქართველოს სახალხო ფრონტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფრონტის აქტიური წევრი
**ალეკო ალექსიძე**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.